საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 69 (9537) | კვირა, 22 მარტი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

უნარიანად მოვაწყოთ და განვახორციელოთ კონტროლი პარტიული სწავლებისადმი — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეცამეტე ტომი ქართულ ენაზე (მე-2 გვერდი).
პ. გრიგორაშვილი. — მშრომელთა გაღატაკება კაპიტალის ქვეყნებში (მე-2 გვერდი).
სადღეისო თემაზე. ესტრადა. [illegible] (მე-2 გვერდი).
ალიო მირცხულავა. — სტალინი [illegible] (მე-3 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. მ. შანიძე. — მცდარ თეორიულ საფუძვლებზე აგებული წიგნი (მე-3 გვერდი).
ი. გრიშაშვილი. — ხალხთა ძმობის მომღერალი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

უნარიანად მოვაწყოთ და განვახორციელოთ კონტროლი პარტიული სწავლებისადმი

მეცნიერების დიდი კორიფე ამხანაგი სტალინი მუდამ გვასწავლიდა, რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროპაგანდისტულ მუშაობას, პარტიული ორგანიზაციების შეუნელებელ ზრუნვას კადრების, ყველა კომუნისტის, პარტიული და საბჭოთა აქტივის მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის, ვინაიდან „რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიურია მუშაობის შედეგები“.

ახლა, როცა ჩვენთან აღარ არის ჩვენი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო აძლიერებენ მუშაობას სტალინური მითითების განსახორციელებლად, უდიდეს მუშაობას ეწევიან კომუნისტების, პარტიული და საბჭოთა აქტივის იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად.

პროპაგანდისტულ მუშაობაში წარმატების მოპოვება, კომუნისტების, კომკავშირელების, პარტიული და საბჭოთა აქტივის მიერ პარტიის XIX ყრილობის მასალებისა და ამხანაგ სტალინის კლასიკური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ღრმად შესწავლის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განახორციელებენ პარტიული ორგანიზაციები პოლიტიკური განათლებისადმი კონტროლს. იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები უნარიანად იყენებენ პარტიული პროპაგანდისადმი კონტროლის ყველა ფორმას, დროულად ავლენენ ნაკლოვანებებს და დაუყოვნებლივ იღებენ ზომებს მათი აღმოფხვრისათვის, წრეებსა და პოლიტსკოლებში მეცადინეობა მუდამ მაღალ იდეურ დონეზე იმართება, აღმოფხვრილია მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები, მსმენელები გულმოდგინედ ითვისებენ გავლილ მასალას, იჩენენ აქტივობას, წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგები ბეჯითად მეცადინეობენ, წარმატებით ახორციელებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს.

ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში, მათ შორის სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, ზუგდიდის ჩაის პირველი ფაბრიკის, ტრესტ „ახალციხეშახტმშენის“ პარტიულ ორგანიზაციებში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან კომუნისტების, პარტიული და სამეურნეო აქტივის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, უნარიანად აწყობენ და სისტემატურ კონტროლს უწევენ მათს მუშაობას პარტიის XIX ყრილობის მასალების, ი. ბ. სტალინის ახალი გენიალური ნაშრომის შესწავლის საქმეში. ამ პარტიულ ორგანიზაციებში ქმედითად იყენებენ პარტიული პროპაგანდისადმი კონტროლის ისეთ ფორმებს, როგორიც არის პოლიტსკოლებისა და წრეების მეცადინეობაზე დასწრება, კომუნისტებთან ინდივიდუალური გასაუბრება, კონსულტაციებისა და თეორიული კონფერენციების მოწყობა, რეფერატის წაკითხვა, პარტიული კომიტეტისა და ბიუროს სხდომებზე, აგრეთვე პარტიულ კრებებზე პროპაგანდისტული მუშაობის ცალკეული საკითხების განხილვა.

აბაშის მტს-ის პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად ამოწმებს პოლიტიკური განათლების ქსელში მეცადინეობის ხარისხს, პროპაგანდისტების საუბრის იდეურ დონეს, მსმენელთა აქტივობას, პარტიულ კრებაზე განიხილავს კომუნისტთა პოლიტიკური განათლების საკითხს და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად იღებს ქმედითს ზომებს. პარტბიუროს მდივანი და ბიუროს წევრები კომუნისტებთან ინდივიდუალურ საუბრებში არკვევენ, თუ ვინ როგორ მუშაობს თავის თავზე, ვინ როგორ ასრულებს პარტიის წევრის საწესდებო მოთხოვნას — მუშაობდეს თავისი შეგნებულობის ასამაღლებლად, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესათვისებლად. კომუნისტებმა, კომკავშირელებმა, უპარტიო აქტივისტებმა იციან, რომ პარტიული ორგანიზაცია უყურადღებოდ არ დატოვებს პოლიტიკური სწავლებისადმი გულგრილი დამოკიდებულების არც ერთ შემთხვევას. ისინი ყოველი მეცადინეობისათვის გულმოდგინედ ემზადებიან, ბეჯითად მუშაობენ თავიანთი პოლიტიკური შეგნებულობისა და თეორიული მომზადების დონის ამაღლებისათვის.

მაგრამ ყველა პარტიულ ორგანიზაციაში ასე როდი ესმით პარტიული განათლებისადმი კონტროლის მნიშვნელობა. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია სუსტ კონტროლს უწევს კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმეს, ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების მიმართ, კომუნისტებთან არ მართავს ინდივიდუალურ საუბრებს თვითგანათლების საკითხზე, არ სწავლობს — როგორ მუშაობენ, რას კითხულობენ, რა დახმარებას საჭიროებენ პარტიის წევრები და წევრობის კანდიდატები.

ბორჯომის რაიონის სოფელ ჭობისხევის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციასთან არსებული წრის მსმენელები ა. სამსონაშვილი, რ. ლომსაძე, პ. სამსონაშვილი და სხვები ცუდად სწავლობენ, ხშირად უმიზეზოდ აცდენენ მეცადინეობას, არ ადგენენ კონსპექტს. წრის მეცადინეობა წელს ერთხელაც არ დაწყებულა დანიშნულ დროზე. პარტბიუროს მდივანი ზ. ოქროპირიძე უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენს ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმისადმი. ზომებს არ იღებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. პარტიული განათლებისადმი კონტროლს სუსტად ახორციელებენ აგრეთვე ბორჯომის რაიონის სოფელ დვირის საშუალო სკოლის, აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნის კოლმეურნეობის და მთელი რიგი სხვა პარტიული ორგანიზაციები. აღნიშნული პარტორგანიზაციებია მდივნები არ ესწრებიან წრეებისა და პოლიტსკოლების მეცადინეობას, მათ არ იციან როგორია მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონე, როგორ ემზადებიან პროპაგანდისტები მეცადინეობისათვის, როგორია მსმენელთა დასწრება და სწავლების ხარისხი. განსაკუთრებით უგულებელყოფილია პარტიული განათლებისადმი კონტროლის ისეთი ქმედითი ფორმა, როგორიც არის კომუნისტებთან ინდივიდუალური საუბრის მოწყობა.

ბევრი კომუნისტი, რომელიც მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა შორის ირიცხება, სარგებლობს რა იმით, რომ პარტიული ორგანიზაცია მას კონტროლს არ უწევს, უდარდელობას იჩენს, ეფარება პარტიული განათლების ამ ფორმას, როგორც შრომას, და არ ასრულებს პოლიტიკური თვითგანათლების ინდივიდუალურ გეგმას, არ იმაღლებს თავის იდეურ-თეორიულ დონეს.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა უნარიანად მოაწყონ და სისტემატურად განახორციელონ კონტროლი პოლიტსკოლებისა და წრეების, საკონსულტაციო ჯგუფების საქმიანობისადმი, პოლიტიკური განათლების სისტემის მთელი მუშაობისადმი, სათანადო კონტროლი დააწესონ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი, პარტიული და სამეურნეო აქტივის თვითგანათლებისადმი, განუვითარონ მათ საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა. პარტიული ორგანიზაციების მდივნები სისტემატურად უნდა ესწრებოდნენ წრეებისა და პოლიტსკოლების მეცადინეობას, ავლინებდნენ მათი მუშაობის ნაკლოვანებებს და დაუყოვნებლივ იღებდნენ ზომებს ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

პარტიული განათლებისადმი კონტროლის ამოცანაა უკეთესად მოვაწყოთ და გავაძლიეროთ მუშაობა კომუნისტების, პარტიული და საბჭოთა აქტივის იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად. უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატების პოლიტიკური ცოდნის ამაღლება ცხოვრების ყველა დარგში მათი მოწინავე როლის გაძლიერების, პარტიული მასების შემდგომი აქტივიზაციის და პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების აუცილებელი პირობა, დიდი სტალინის ანდერძის წარმატებით განხორციელების საწინდარია.

ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

★

სვეახანოვურ ვახეზე

რუსთავი. (საკ. კორ). სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ძირითად საამქროებთან ერთად სტახანოვურ ვახტზე დადგნენ ქარხნის დამხმარე საამქროთა კოლექტივები, რომლებიც თავდადებული შრომის შესანიშნავ ნიმუშებს იძლევიან.

მარტის პირველ დეკადაში სარემონტო-მექანიკურმა საამქრომ ვადამდე შეასრულა მარტენის საამქროს რამდენიმე სასწრაფო დაკვეთა. პირველი დაკვეთის — ჯართის ჩამტვირთავი მანქანის შეკეთებას ჩვეულებრივ პირობებში 3 დღე მაინც სჭირდებოდა. ვ. ქვეითაიას და მ. მამუკელაშვილის ბრიგადებმა ეს დაკვეთა ერთ დღეში შეასრულეს.

13 მარტს ამავე საამქროს ცვლამ, რომელსაც კომუნისტი მ. ბერძენიშვილი ხელმძღვანელობს, მარტენის საამქროს ხიდურ ამწეს თითქმის სამჯერ შემჭიდროებულ ვადაში — 8 საათში გამოუცვალა ღერძი.

საამქროში სწრაფად და ოპერატიულად სრულდება ქარხნის სხვა საამქროთა დაკვეთებიც.

წარმატებით შრომობს თბოელექტროცენტრალის კოლექტივიც. მარტის პირველ დეკადაში ენერგეტიკოსებმა გეგმის გადამეტებით გამოიმუშავეს ნახევარ მილიონამდე კილოვატსაათი ელექტროენერგია, საკუთარ მოხმარებაზე გასწიეს 25 ათასი კილოვატსაათის ეკონომია და დაზოგეს 50 ტონაზე მეტი საწვავი.

სარემონტო ბრიგადები, რომლებსაც მ. უსუფაშვილი, უ. კასრაშვილი და ა. მუმლაძე ხელმძღვანელობენ, ელექტროდანადგარებისა და აგრეგატების რემონტის გეგმას 220-230 პროცენტით ანაღდებენ.

მხურვალედ იწონეებენ სესიის გადაწყვეტილებებს

მოსკოვის ქარხანა „კომპრესორის“ მუშები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ვადამდე შეასრულონ მარტის პროგრამა. დღითიდღე აძლიერებს ტემპს მექანიკური საამქროს კოლექტივი. ხარატები, მღარველები, მბურღავები ისე შრომობენ, რომ ცდილობენ ერთი წუთიც არ დაკარგონ. 17 მარტს აქ, ისე როგორც ქარხნის სხვა საამქროებში, გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მასალების კითხვა.

— ჩვენ მხურვალედ ვიწონებთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, — თქვა მღარველმა ნ. მოროზოვმა. — ჩვენს სახელმწიფოს სათავეში უდგანან ლენინის მოწაფეები, სტალინის ერთგული თანამებრძოლები. მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ საბჭოთა მთავრობის ახალი შემადგენლობა ჩვენს ქვეყანას წაიყვანს სტალინის მიერ ნაჩვენები გზით.

ამ დღეებში ნ. მოროზოვი ცვლაში ორ ნორმას ასრულებს. მთელი მისი პროდუქცია საუკეთესო ხარისხისაა. წარმატებით მუშაობენ ხარატები ვ. ლოპუხინი და ვ. ვასილიევი. მათი გამომუშავება ცვლაში სამ ნორმას აღწევს. მკვეთრად გადიდდა შრომის ნაყოფიერება ქარხნის ყველა საამქროში.

ქარხანა „კომპრესორის“ კოლექტივი თავდადებული შრომით გამოხატავს განუხრელ მისწრაფებას — იბრძოლოს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის. (საკდესი).

კომუნიზმის დიად მშენებლობათათვის

★ ★

ოდესა, 20 მარტი. (საკდესი). ქალაქის საწარმოები სხვადასხვა პროდუქციას უშვებენ კომუნიზმის დიად მშენებლობათათვის. ვოლგაზე, დნეპრზე, ამუ-დარიაზე იგზავნება ამწეები და ფოლადის გვარლები, საღარავი და რადიალურ-საბურღავი ჩარხები, სამშენებლო-მომპირკეთებელი მანქანები და სხვა მოწყობილობა.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში პარტიის ოდესის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ა. ფ. ჩერნიავსკიმ განაცხადა:

— ქალაქის მშრომელნი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდების პასუხად აძლიერებენ მუშაობას. განსაკუთრებული ენთუზიაზმით ასრულებენ დაკვეთებს სტალინური ეპოქის დიად მშენებლობათათვის — კუიბიშევის, სტალინგრადის, კახოვკის ჰიდროელექტროსადგურებისთვის, თურქმენეთის მთავარი არხის, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხებისათვის.

ოდესის ოცზე მეტი ქარხანა და ფაბრიკა აწვდის პროდუქციას ახალშენებებს, როგორც წესი, ყველა დაკვეთას ვადაზე ადრე ასრულებენ.

ოდესის ფოლადის მავთულ-ბაგირის ქარხნის კოლექტივი მუშაობს რიტმულად, ყოველდღე გადამეტებით ასრულებს გეგმას. კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა დაკვეთა, რომელიც გათვალისწინებული იყო მთელი პირველი კვარტალისათვის, აქ ერთი თვის განმავლობაში შესრულდა. ვადაზე ერთი თვით ადრე გაეგზავნა სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას ფოლადის ბაგირები ვოლგის კიდული გზისათვის. სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მშენებლებს გაეგზავნათ 10 ათასი მეტრი ფოლადის გვარლი. ეს დაკვეთაც ვადაზე 20 დღით ადრე შესრულდა.

კომუნიზმის მშენებლობათა დავალებებს ვადამდე ასრულებს იანვრის აჯანყების სახელობის ამწეთმშენებელი ქარხანა. ამ საწარმოს კოლექტივმა იკისრა მარტში მეორე კვარტალის გეგმის ანგარიშში გაუგზავნოს „კუიბიშევჰიდრომშენს“ 10-ტონიანი ამწე და მესამე კვარტალის გეგმის ანგარიშში გაუგზავნოს „უკრწყალმშენს“ ხუთტონიანი ამწე.

დიად მშენებლობათა დაკვეთებს წარმატებით ასრულებენ აგრეთვე ქალაქის სხვა საწარმოები.

ᲩᲥᲐᲠᲝᲡᲐᲜᲘ ᲓᲐᲖᲒᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ

ლითონის ჩქაროსნულ დამუშავებაში საბჭოთა დაზგათმშენებლებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს ამ უკანასკნელი წლების მანძილზე. ორიათასი — ორიათას ხუთასი მეტრი წუთში — ასეთია ჭრის სიჩქარე, რომელსაც დაზგათმშენებელ საწარმოთა ბევრმა ხარატმა მიაღწია. მოსკოველმა პავლე ბიკოვმა სუფთა დამუშავებაში მიაღწია სარეკორდო სიჩქარეს — 3.485 მეტრს წუთში.

ახლა ცხრა ათასზე მეტი ჩქაროსანია ჩვენი ქვეყნის დაზგათმშენებელ საწარმოებში. მათ შორის არიან ხარატები და მხეხავები, მღარველები და გამომხარატებლები. შეჯიბრებაში შრომის ჩქაროსნული მეთოდებისათვის მონაწილეობს დაზგოსანთა 90 პროცენტი. ა. წ. 20 მარტს, დამთავრდა ჩარხ-საინსტრუმენტო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობა შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელებასა და დანერგვაში.

მომხსენებელმა — პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ბელოვმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სტახანოვურ სკოლებს შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელებაში. შარშან მოსკოვის ქარხანა „წითელ პროლეტარში“ შეისწავლეს ინჟინერ კოვალიოვის მეთოდით მუშაობის 120 მოწინავე ხერხი. სტახანოვურ სკოლებში სწავლობდა 500-ზე მეტი მუშა, რომელთა უმეტესობამ ერთნახევარჯერ-ორჯერ გაადიდა შრომის ნაყოფიერება.

ათობით სტახანოვური სკოლაა სხვა ქარხნებშიც. ამ სკოლების მეოხებით ერთი წლის მანძილზე ჩქაროსანთა რიცხვი 1.500 კაცით და უფრო მეტად გადიდდა. დიდი სარგებლობა მოიტანა დაზგოსანთა შეჯიბრებამ პროფესიების მიხედვით.

ამ უკანასკნელ ხანს დაზგათმშენებლობის საწარმოებში გაჩნდა ახალი ფორმები სოციალისტური შეჯიბრებისა ყველა ოპერაციის დროს საწარმოო ციკლის შემცირებისათვის, ჩარხების აწყობის საწარმოო ციკლის შემცირებისათვის, ვ. კოლესოვის მეთოდით დიდ მიწოდებაზე ლითონის ჩქაროსნული ჭრისათვის. ეს თაოსნობა ფართოდ გავრცელდა არა მარტო დაზგათმშენებლობაში, არამედ ლითონდამმუშავებელი მრეწველობის სხვა დარგებშიც.

პლენუმზე გამოვიდა ჩქაროსნული ხეხვის ინიციატორი ამხ. ორლოვი, რომელმაც ილაპარაკა, თუ რა წარმატებებია მიღწეული მოსკოვის ორჯონიკიძის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში. სახეხავი ჩარხების მოდერნიზაციით ერთიორად გადიდდა დამუშავების სიჩქარე. ბევრი მუშა ცვლაში ოთხ ნორმამდე ასრულებს.

კიევის გორკის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ხარატმა ამხ. ტერტიჩნიმ განაცხადა, რომ ჩქაროსანთა შეჯიბრების მეოხებით საწარმომ შარშან გეგმის გადამეტებით გამოუშვა ათობით ავტომატი ჩარხი. აქ ასამდე კომპლექსური ბრიგადა ამუშავებს დანერგავს მოწინავე სტახანოვურ ტექნოლოგიას.

შრომის ჩქაროსნული მეთოდების გამოყენების შესახებ ილაპარაკეს მოსკოვის ქარხანა „სტანკოლიტის“ სამოდელე საამქროს უფროსმა ამხ. პოსკაჩეევმა და სხვა ნოვატორებმა. (საკდესი).

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

დიდი სტალინის სახელობისა

სოფია, 21 მარტი. (საკდესი). დიდი სტალინის სახელთან დაკავშირებულია ბულგარეთის განთავისუფლება ფაშისტური მონობისაგან და რესპუბლიკის შესანიშნავი წარმატებანი სოციალიზმის საფუძვლების აშენებაში. ბულგარელი ხალხის საუკეთესო მეგობრისა და დამცველის ნათელი სახელი ცოცხლობს და კვლავაც იცოცხლებს ახალი ცხოვრების მშენებელთა საქმეებში.

დიდი ბელადის სახელს ღირსეულად ატარებს ბულგარეთის ერთ-ერთი დიდი სამრეწველო და კულტურული ცენტრი, მისი ყველაზე დიდი ნავსადგური შავ ზღვაზე — ქალაქი სტალინი (ყოფილი ვარნა). ეს სახელი ქალაქს მიეკუთვნა მშრომელთა თხოვნით 1949 წლის დეკემბერში, როცა მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა თავისი გენიალური ბელადისა და მასწავლებლის დაბადების 70-ე წლისთავი.

ქალაქ სტალინის ბევრმა საწარმომ — ხრისტო ბოტევის, „წითელი ვარსკვლავის“, გიორგი პეტლეშევის სახელობის სართავ-საქსოვმა ფაბრიკებმა, ფაბრიკებმა „მეტალმა“, „ვულკანმა“ და სხვა საწარმოებმა 4 წელიწადზე ნაკლებ ხანში შეასრულეს თავიანთი ხუთწლიანი გეგმები. ქალაქის საწარმოებში ბევრია სოციალისტური შრომის გმირი, წარმოების ნოვატორი და რაციონალიზატორი. მარტო ფაბრიკა „პირველ მაისში“ ახლა ექვსი სოციალისტური შრომის გმირი მუშაობს. სოციალისტური შრომის გმირებმა — მკსოველებმა ელისაბედ სტეფანოვამ და ანკა პეტროვამ პროდუქცია გამოუშვეს სამი ხუთწლიანი გეგმის მოცულობით.

გ. მ. დიმიტროვის სახელობის გემთსაშენმა საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით დაიწყო დიდი სამგზავრო და სატვირთო გემების წარმოება. კოლაროვის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ ათთასი დიზელმოტორებისა ლა ინვემატიკური ჩაქუჩების წარმოება. მათი დიდი პარტიები ახლა იგზავნება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

სტალინის ნავსადგურში მოდის საბჭოთა და ბულგარეთის ხომალდები, რომლებითაც მოაქვთ ტვირთები საბჭოთა კავშირიდან ბულგარეთის სახალხო მეურნეობისათვის. მათ მოაქვთ მანქანები და მოწყობილობა ბულგარეთის ახალშენებებისათვის, ტრაქტორები, კომბაინები.

უკანასკნელი წლების მანძილზე ქალაქ სტალინში დიდი საბინაო და კულტურული მშენებლობა გაჩაღდა.

ქალაქი სტალინი ბულგარეთის არა მარტო დიდი სამრეწველო ცენტრია, არამედ საუკეთესო საზღვაო კურორტიც.

დიდი სტალინის სახელს ატარებს აგრეთვე ბულგარეთის ქიმიური მრეწველობის პირმშო ქალაქ დიმიტროვგრადის ქიმიური კომბინატი. ბულგარეთის ეს უდიდესი საწარმო ი. ბ. სტალინის პირადი დახმარების მეოხებით ვადაზე 2 წლით ადრე ჩადგა მწყობრში. სტალინის სახელობის კომბინატი ყოველწლიურად უშვებს ათეულ ათასობით ტონა ხელოვნურ სასუქს და სავსებით აკმაყოფილებს სოფლის მეურნეობის საჭიროებას სასუქების მხრივ.

1949 წელს ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად ბულგარეთში ამუშავდა ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროსადგურის პირველი რიგი. ახლა ეს ელექტროსადგური ყოველწლიურად იძლევა 100 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას. სამი წლის განმავლობაში ამ სადგურმა დედაქალაქსა და სოფიის ოლქს იმდენი ენერგია მისცა, რამდენიც 1939 წელს გამოიმუშავა ბულგარეთის ყველა ელექტროსადგურმა.

ჩრდილოეთ ბულგარეთში ი. ბ. სტალინის სახელი ეწოდება ბრიშლიანსკის სარწყავ სისტემას, რომელიც რწყავს ტუტგაკანის, რუსეს და კუბრატის ოკოლიების 17.500 ჰექტარ ნაყოფიერ მიწას. სარწყავ მინდვრებში ახლა მოჰყავთ ბამბა, სიმინდი, შაქრის ჭარხალი. დიდ ფართობზე დარგულია ხეხდრო და სხვა ძვირფასი კულტურები.

სამოკოვის ოკოლიის სოფლებს — გორნი და დოლნი პასარელს შუა შენდება ბულგარეთის ყველაზე დიდი წყალსაცავი — სტალინის სახელობის წყალსაცავი, რომელიც მორწყავს სოფიის ვაკის 70 ათას ჰექტარ მიწებს.

ბულგარეთში ამხანაგ სტალინის სახელი ეწოდება ბევრ საწარმოს, უმაღლეს სასწავლებლებს, კოოპერაციულ-სამეწარმეო-მოქმედო მეურნეობებს. ეს სახელი ყველაზე მშობლიური და მახლობელია ბულგარელი ხალხისათვის.

—⊙—

უდიდესი ელექტროსადგურის მშენებლობა სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთში

პეკინი, 21 მარტი. (საკდესი). გაზეთი „გუნ-ჟენ-ჟიბაო“ წერს, რომ ჩუენცინში შენდება სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთის უდიდესი ელექტროსადგური № 507. ელექტროსადგური მთლიანად აღჭურვილი იქნება უახლესი საბჭოთა მოწყობილობით. სადგურის მშენებლობა დაიწყო 1953 წლის 23 იანვარს. იგი უკვე წელს მისცემს სახელმწიფოს პირველ ელექტროენერგიას. სადგურის დაპროექტებასა და მშენებლობაში დიდ დახმარებას უწევენ მშენებლებს საბჭოთა სპეციალისტები.

—⊙—

საგაზაფხულო თესვა ალბანეთში

ტირანა, 21 მარტი. (საკდესი). მარტის პირველ ნახევარში ალბანეთში დაიწყო საგაზაფხულო თესვა. გლეხები თესავენ შაქრის ჭარხალს, ქერს, იონჯას კარტოფილსა და ბოსტნეულს. წელს ნათესი ფართობი საერთოდ 3 პროცენტით გადიდდება, ტექნიკური კულტურების ფართობი — 5 პროცენტით. მათ შორის ბამბისა — 10 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა — 8 პროცენტით, თამბაქოსი — 17 პროცენტით.

განზრახულია სატრაქტორო სამუშაოთა ოცულობა შარშანდელთან შედარებით გადიდდეს 21 პროცენტით. სახელმწიფო ეხმარება გლეხებს თესლით სასუქით. ტექნიკით. 1953 წელს სახელმწიფომ საგაზაფხულო თესვისათვის აგრარული კრედიტიდან გადადო თითქმის ორჯერ მეტი სასესხები. ვიდრე შარშან.

სახელმწიფოს ზრუნვის პასუხად ალბანელი გლეხები ვალდებულებას კისრულობენ ვადამდე დაამთავრონ საგაზაფხულო თესვა და საუკეთესო აგროტექნიკური პირობებში შეასრულონ იგი.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲐᲖᲔᲗᲨᲘᲐ

ᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲝᲕᲐᲬᲧᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲗ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ (1-ლი გვერდი).
ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ (1-ლი გვერდი).
Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲪᲐᲛᲔᲗᲔ ᲢᲝᲛᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ (მე-2 გვერდი).
Პ. ᲒᲠᲘ�გᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ. — ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲦᲐᲢᲐᲙᲔᲑᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ (მე-2 გვერდი).
ᲡᲐᲓᲦᲔᲘᲡᲝ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ. ᲔᲡᲢᲠᲐᲓᲐ. [illegible] (მე-2 გვერდი).
ᲐᲚᲘᲝ ᲛᲘᲠᲪᲮᲣᲚᲐᲕᲐ. — ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ [illegible] (მე-3 გვერდი).
ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ. Მ. ᲨᲐᲜᲘᲫᲔ. — ᲛᲪᲓᲐᲠ ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲖᲔ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ (მე-3 გვერდი).
Ი. ᲒᲠᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ. — ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ (მე-3 გვერდი).
ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲘ (მე-4 გვერდი).

ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 69 (9537) | ᲙᲕᲘᲠᲐ, 22 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1953 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.

უნარიანად მოვაწყოთ და განვახორციელოთ კონტროლი პარტიული სწავლებისადმი

მეცნიერების დიდი კორიფე ამხანაგი სტალინი მუდამ გვასწავლიდა, რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროპაგანდისტულ მუშაობას, პარტიული ორგანიზაციების შეუნელებელ ზრუნვას კადრების, ყველა კომუნისტის, პარტიული და საბჭოთა აქტივის მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის, ვინაიდან „რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიურია მუშაობის შედეგები“.

ახლა, როცა ჩვენთან აღარ არის ჩვენი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო აძლიერებენ მუშაობას სტალინური მითითების განსახორციელებლად, უდიდეს მუშაობას ეწევიან კომუნისტების, პარტიული და საბჭოთა აქტივის იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად.

პროპაგანდისტულ მუშაობაში წარმატების მოპოვება, კომუნისტების, კომკავშირელების,

საბჭოთა თემაზე

ესტრადა

მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში, კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ესტრადას.

ჩვენი პარტია მიგვითითებს, რომ საჭიროა გოგოლისებური და შედრინისებური მკვეთრი, პირდაპირი, მოურიდებელი სატირა, რომელიც ამოსწვავს ცხოვრებაში ყოველივე უარყოფითს, მანკიერს, ავადმყოფურ მოვლენებს. ზუსტად გამიზნული, მახვილი სატირა ახლის, მოწინავის, პროგრესულის დამკვიდრებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ აქტიურ ფორმას წარმოადგენს. ესტრადა კი ასეთი ზუსტად გამიზნული სატირის მშვენიერი ტრიბუნაა. ესტრადიდან წარმოთქმული მახვილგონივრული სიტყვა, სიმღერა თუ ხუმრობა იძენს მოქალაქეობრივ უფლებას და ხელს უწყობს მშრომელთა აღზრდას.

პარტიის მითითება იმის შესახებ, რომ საჭიროა ულმობლად აღმოვფხვრათ სიყალბე და სიდამპლე ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში, საესტრადო ხელოვნების მუშაკთაგან მოითხოვს საესტრადო რეპერტუარის მკვეთრ გაუმჯობესებას.

ქართული ესტრადა უკანასკნელ ხანებში ერთგვარი უძრაობის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამის ერთ-ერთ მიზეზს ესტრადის რეპერტუარის სიღარიბე, უფერულობა წარმოადგენდა. ზოგჯერ ესტრადაზე გზას იკაფავდა აშკარად ხალტურული, უხამსი და უიდეო ნაწარმოებები.

ყოველი საესტრადო ნომერი მხატვრულად ფრთაშესხმული, გამოკვეთილი იდეის მქონე უნდა იყოს. ამ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს გ. ივანიშვილის სკეტჩი „შშობლის ვალი“ და მინიატურა „ხუმრობა-მაგალითი“, ვ. პატარაიას სკეტჩი „ჩემი მეთოდი“ და სხვ. ზოგჯერ ყურადღება არ ეძცევა საესტრადო ნაწარმოების ენის სიწმინდეს, ლოგიკურობას, დამაჯერებლობას, განზოგადებას, ოღონდ კი მან სიცილი გამოიწვიოს! რასაკვირველია, ასეთი სიცილის არაფითარი ფასი არა აქვს და იგი მაყურებელზე ზემოქმედებას ვერ მოახდენს.

სარეპერტუარო კომიტეტი ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენდა და ზოგჯერ ესტრადაზე გასვლის საგზურს აძლევდა მდარე, უსუსურ ნაწარმოებებს. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი არ იღებდა ქმედითს მონაწილეობას ესტრადის რეპერტუარის შექმნაში. საელტერატურო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე სათანადოდ არ შუქდებოდა ესტრადის მუშაობა, საესტრადო რეპერტუარის დაბალი ხარისხი იმითაც აიხსნება, რომ საქართველოს ფილარმონიასთან არსებული სამხატვრო საბჭო ნაკლებად იყო დაინტერესებული მხატვრული შემოქმედების საკითხებით.

ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად თითქოს გადაიდგა პირველი ნაბიჯები. განზრახულია ესტრადის რეპერტუარის კრიტიკულად გადასინჯვა და მდარე ნაწარმოებებისაგან მისი გაცხრილვა. მაგრამ საქმე ძლიერ ნელი ტემპით მიდის. საჭიროა ქმედით ღონისძიებათა განხორციელება იმისათვის, რომ უმოკლეს ვადაში დაძლეულ იქნას ჩამორჩენილობა ესტრადისა და, კერძოდ, საესტრადო რეპერტუარის საქმეში.

ადგილებზე პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ იდეოლოგიური მუშაობის ამ უბანს.

საქალაქო ტრანსპორტი

საქალაქო მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს ტრანსპორტი — ტრამვაი, ტროლეიბუსი, საავტობუსო მეურნეობა. საქართველოში საქალაქო ტრანსპორტი სწრაფად ვითარდება, საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ის ფაქტი, რომ თბილისს გარდა ტროლეიბუსები მოძრაობს ქუთაისის ქუჩებში, ავტობუსები და ტაქსმოტორები — სუხუმში, ბათუმში, გორში, რუსთავში, ფოთში, გაგრასა და სხვა ქალაქებში.

ახლა თბილისში ყოველდღიურად საშუალოდ მუშაობს ტრამვაის 234 ვაგონი, რამდენიმე ათეული ტროლეიბუსი, უფრო მეტი ავტობუსი, თითქმის ასობით მსუბუქი ტაქსი „პობედა“. შარშან მარტო ტრამვაი და ტროლეიბუსი მოემსახურა 186 მილიონზე მეტ მგზავრს.

უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დედაქალაქის მგზავრთა მომსახურება. წელს გაიხსნა ავტობუსების რვა ახალი მარშრუტი. ავტომაქანების რაოდენობა მიუახლოვდა 1955 წლის ბოლოსათვის გათვალისწინებულ მაჩვენებელს, მგზავრთა გადაყვანის მხრივ კი თბილისის ავტოსატრანსპორტო კანტორამ ახალი ხუთწლიანი გეგმის დავალება ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოსათვის შეასრულა.

პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენენ „შრომელთა კულტურული მომსახურებისათვის. მეხუთე სტალინური ხუთწლედის განვლილ წლებში ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა: დაიწყო ღრმაღელე-ავტალას შორის ტრამვაის ახალი ხაზის გაყვანა, მალე ტრამვაის ლიანდაგით დაუკავშირდებიან ერმანეთს მაგნიტოგორსკის და ბრძოლის ქუჩები, წლის პირველ ხახევარში ამუშავდება ტროლეიბუსი ლესელიძისა და მიასნიკოვის ქუჩებზე, ხოლო მომავალ წელს — ვაკეში.

მიუხედავად წარმატებებისა, თბილისის საქალაქო ტრანსპორტის მუშაობას ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი ახასიათებს. ყოველთვის ვერ იცავენ მოძრაობის გრაფიკს, ხშირად იცვლება ტრამვაისა და ტროლეიბუსების გასაჩერებელი პუნქტები, ტაქსმოტორების მოსაცდელ ადგილებთან არ არის სათანადო წარწერები, ავტობუსში არ არის გამოკრული ტარიფი, ბევრ ადგილას ტრამვაის, ტროლეიბუსისა და ავტობუსის გასაჩერებელი პუნქტები ძლიერ არის დაშორებული ერთმანეთს, რის გამო მოქალაქეებს საშუალება არა აქვთ გაჰყვნენ იმ ტრანსპორტს, რომელიც ადრე მოვა, კონდუქტორები არ აცხადებენ გაჩერებას, მგზავრებს უხეშად ეპყრობიან.

ტრამვაი ყველაზე მასობრივი და ხელმისაწვდომია. მისი მუშაობის ოდნავი შეფერხებაც კი მშრომელებისათვის საგრძნობი ხდება. ამიტომ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო მოვალეა შეუნელებლად ზრუნავდეს ტრამვაის გამართული მოძრაობის უზრუნველსაყოფად. ის კი ზოგჯერ ლიანდაგებისა და ხაზის რემონტს იმ ღროს და ისეთი მასშტაბით აწარმოებს, რომ აფერხებს მოძრაობას.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს გადასასხდომ ადგილებთან სხვადასხვა მარშრუტის მანქანების შეწყობილად გაჩერებას, მოწესრიგდეს გაჩერებებზე მანქანებისა და ტრამვაის ვაგონებში შესვლა, აიგოს მგზავრთა მოსაცდელი პავილიონები. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები მოვალენი არიან მიიღონ ქმედითი ზომები საქალაქო ტრანსპორტის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის, უზრუნველყონ მისი გამართული და შეუფერხებელი მოძრაობა.

საქართველოს კომპარტიის XV ყრილობაზე აღინიშნა, რომ საქალაქო მეურნეობა კომუნისტური მშენებლობის ფრიად მნიშვნელოვანი უბანია, რადგან იგი უშუალოდ ემსახურება მოსახლეობის საჭიროებას. ამიტომ საქალაქო მეურნეობასთან, ტრანსპორტთან დაკავშირებული ყველა საკითხი შუდამ უნდა იყოს ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეცამეტე ტომი ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეცამეტე ტომი.

თარგმანი შესრულებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მიერ.

გამოცემის ტირაჟია 20 ათასი ეგზემპლარი.

ოცდამეცამეტე ტომში შედის ვ. ი. ლენინის სტატიები, მოხსენებები, სიტყვები და წერილები 1921 წლის 16 აგვისტოდან 1923 წლის 2 მარტამდე განვლილი პერიოდისა.

ამ ნაწარმოებებში შეჯამებულია ახალი ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზე სახალხო მეურნეობის აღდგენის პირველი შედეგები, დასაბუთებულია ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობა და დასახულია მისი განხორციელების გეგმა.

სტატიებში: „ახალი დროება, ძველი შეცდომები ახალი სახით“, „ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავისათვის“, „ოქროს მნიშვნელობის შესახებ ამჟამად და სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგ“ და მოხსენებებში „რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ“ საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობაზე 1921 წ. 23 დეკემბერს, „რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში“ პარტიის XI ყრილობაზე 1922 წ. 27 მარტს, „რუსეთის რევოლუციის ხუთი წელი და მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივები“ კომინტერნის IV კონგრესზე 1922 წ. 13 ნოემბერს, „სიტყვაში მოსკოვის საბჭოს პლენუმზე“-1922 წ. 20 ნოემბერს და სხვა ნაწარმოებებში ლენინი გვიჩვენებს მსხვილი სოციალისტური მრეწველობის აღდგენისა და აღმავლობის დაწყებას, მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებას ახალ ეკონომიკურ საფუძველზე. ლენინი სახავს ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის გზებს და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ „ნეპის რუსეთიდან მივიღებთ სოციალისტურ რუსეთს“.

ტომში დაბეჭდილი მთელი რიგი გამოსვლები, სტატიები და დოკუმენტები ეძღვნება პარტიული მშენებლობის საკითხებს, პარტიის წმენდას და მისი სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, საბჭოთა, პროფკავშირული და კოოპერაციული ორგანოების მიმართ ხელმძღვანელობას. მათ რიცხვში შედის: სტატია „პარტიის წმენდის შესახებ“, წერილები ვ. მ. მოლოტოვს „პარტიაში ახალ წევრთა მიღების პირობების შესახებ“, „რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში“ რკპ (ბ) XI ყრილობაზე, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „პროფკავშირთა როლისა და ამოცანების შესახებ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში“ და სხვ.

ტომში დიდი ადგილი უკავია იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახულია ლენინის მოღვაწეობა სახელმწიფო აპარატის განმტკიცებისა და გაუმჯობესების საქმეში. ამ ნაწარმოებთა რიცხვში შედის: „მუშაგლეხინის ამოცანების, მათი გაგებისა და შესრულების საკითხისათვის“, „წერილი ი. ბ. სტალინს მოადგილეთა (სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობის შესახებ“, „დადგენილება მოადგილეთა (სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობის შესახებ“, „ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“ და „სიტყვა IX მოწვევის სრ. რუს. ცაკ-ის IV სესიაზე“ 1922 წ. 31 ოქტომბერს.

ტომში შესულ მრავალ გამოსვლაში, სტატიასა და დოკუმენტში ლენინმა გადმოსცა საბჭოთა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. გამოდიოდა რა საბჭოთა რესპუბლიკისა და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობიდან, ლენინი საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდებდა მშვიდობისათვის ბრძოლას და საბჭოთა სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვას.

საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში ლენინი აყალიბებს ერთიანი ფრონტის ტაქტიკის ძირითად ამოცანებს და აშუქებს მსოფლიო რევოლუციის განვითარების პერსპექტივებს. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელ მსოფლიოში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და რევოლუციური ბრძოლის ზრდას აღმოსავლეთის ქვეყნებში, ინდოეთსა და ჩინეთში, რომლებიც საბჭოთა რუსეთთან ერთად მოსახლეობის უზარმაზარ უმრავლესობას წარმოადგენენ.

ტომში შედის ლენინის უკანასკნელი სტატიები: „ფურცლები დღიურიდან“, „კოოპერაციის შესახებ“, „ჩვენი რევოლუციის შესახებ“, „როგორ მოვახდინოთ მუშგლეხინის რეორგანიზაცია“, „უმჯობესია ცოტა და კარგი“. ამ სტატიებში ლენინმა შეაჯამა შესრულებული სამუშაო და დასახა გეგმა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისა სოციალისტური მშენებლობის საქმეში გლეხობის ჩაბმის. გზით და წამოაყენა თავისი კოოპერაციული გეგმა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში გლეხობის ჩაბმისა. ლენინმა განსაზღვრა ამოცანები კულტურული რევოლუციის დარგში და დასახა სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაციის კონკრეტული ღონისძიებები.

ტომში ქვეყნდება ლენინის ცნობილი სტატია „მეგრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“, რომელშიც ლენინმა დასახა მარქსისტული ფილოსოფიის სფეროში მუშაობის პროგრამა.

ოცდამეცამეტე ტომში შესულ ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში და წერილებში ი. ბ. სტალინისადმი მკაფიოდ არის გამოხატული ლენინისა და სტალინის თანამეგობრობა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობის საქმეში, სოციალისტური მშენებლობის მოწყობის საქმეში, მათი ერთობლივი ბრძოლა პარტიის მტრების — ტროცკისტებისა და ბუხარინელების წინააღმდეგ, ველიკორუსული შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ოცდამეცამეტე ტომში შეტანილია ვ. ი. ლენინის 20 ნაწარმოები, რომლებიც პირველად ქვეყნდება თხზულებებში. „წერილებში ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსადმი“, „სიტყვაში ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილ ხამოვნიკის რაიონის მუშათა, წითელარმიელთა და ახალგაზრდობის კრებაზე 1921 წ. 7 ნოემბერს“ და „პროექტში რკპ (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს დირექტივისა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ“ (ორი უკანასკნელი დოკუმენტი პირველად იბეჭდება) გაშუქებულია ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.

„წერილში პოლიტბიუროს წევრებს პარტიის წმენდისა და პარტიაში მიღების პირობების შესახებ“ ლენინი წინადადებას იძლევა დაწესდეს პარტიაში მიღების უფრო მკაცრი პირობები.

თხზულებებში სრულად პირველად იბეჭდება „წერილი ი. ბ. სტალინს პოლიტბიუროს წევრებისათვის. პასუხი იმ შენიშვნებისა, რომლებიც ეხება მოადგილეთა (სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობას“, სადაც ლენინი მკაცრად აკრიტიკებს ტროცკის მტრულ, ანტიპარტიულ პოზიციას მუშგლეხინისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის როლისა და ამოცანების საკითხში.

თხზულებებში პირველად ქვეყნდება: ვ. ი. ლენინის წერილი დ. ი. კურსკის, რომელიც ეხება საბჭოთა სასამართლო კანონმდებლობის შემუშავებას; „ბარათი პოლიტბიუროსადმი დიდმპყრობელურ შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ“, „წერილი ი. ბ. სტალინს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ“ 1922 წლის 13 ოქტომბრის თარიღით (იბეჭდება პირველად), სადაც ლენინი იცავს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ურყეობას ბუხარინის, სოკოლნიკოვისა და სხვების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ მისი საფუძვლებისთვის; „წერილი ი. ბ. სტალინს ც. კ-ის წევრებისათვის საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობაზე გამოსვლის გამო“; ორი წერილი ი. ბ. სტალინს რადიოტექნიკის განვითარების საკითხებზე და წერილი ი. ბ. სტალინს 1922 წლის 15 აპრილის თარიღით (იბეჭდება პირველად).

„წერილში პოლიტბიუროს მიმართ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობის რეზოლუციის გამო“ ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო როლს როგორც პირველი ქვეყნისას, რომელმაც საქმით განახორციელა ხალხთა თვითგამორკვევის პოლიტიკა.

„პროექტში სრ. რუს. ცაკ-ის დადგენილებისა განუფის კონფერენციის დელეგაციის ანგარიშის გამო“ განსაზღვრულია საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი ამოცანები საგარეო პოლიტიკის სფეროში; „პროექტში პასუხისა ე. ვანდერველდეს“ ლენინი ამხელს გამცემლურ როლს II და II 1/2 ინტერნაციონალთა ლიდერებისას, რომლებიც გამოვიდნენ მენშევიკებისა და ესერების კონტრრევოლუციური პარტიების დასაცავად (ორივე დოკუმენტი პირველად იბეჭდება).

ტომში შეტანილია ვ. ი. ლენინის მისალმებანი სხვადასხვა ყრილობისა და ორგანიზაციისადმი, რომლებიც პირველად ქვეყნდება თხზულებებში: „დეპეშა აზერბაიჯანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ნარიმანოვს“ (იბეჭდება პირველად), „დაღისტნის მშრომელებს“, „დეპეშა აზნაურთის მუშებსა და ინჟინრებს“, „ყოფ. მიხელსონის ქარხნის მუშებს“, „სახელმწიფო ელექტროსადგურის „ელექტროპერედაჩას“ მუშებსა და მოსამსახურეებს“.

ოცდამეცამეტე ტომით მთავრდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემაში შეტანილი ძირითადი ნაწარმოებების გამოქვეყნება. ვ. ი. ლენინის მიწერ-მოწერა ორგანიზაციებთან და პირებთან, — წერილები, დეპეშები, ბარათები, — შევა თხზულებათა უკანასკნელ 34-ე და 35-ე ტომებში. (საქლესი).

თბილისის საუკეთესო მშენებლებმა ზრდიან ზრდილობიანი ბიგლიერთელა

მეგობრობათა ბრიგადის ხელმძღვანელი

ბარათაშვილის ხიდის მახლობლად მტკვრის ხიდის მიმართულებით მტკვრის მარჯვენა მხარეზე უკვე აღმართულია სახაპირო ქუჩის საყრდენი კედელი. გადაულახავ ზღუდედ დგას ამ კედლის ბეტონის მასივი მდინარის ტალღებისაგან ქალაქის დასაცავად. დეკემბერსა და იანვარში აქ მუშაობდა, რკინაბეტონის ამ კედლის ამოსაყვანად მდინარის ტალღებს ებრძოდა მებეტონეთა მოწინავე ბრიგადა, რომელსაც ამირან ჟონჟოლაძე ხელმძღვანელობს.

ჟონჟოლაძის ბრიგადა სანაპირო ქუჩების მშენებელთა შორის ყველაზე სახელგანთქმულია. მრავალი წელიწადია არ ყოფილა შემთხვევა, რომ ზრიგადას საგეგმო დავალება არ შეესრულებინოს.

ჟონჟოლაძის ბრიგადაში 25 კაცია. ბრიგადირი ისე ანაწილებს თავისი ბრიგადის წევრებს სამუშაოზე, რომ უზრუნველყოფს ყველა მომუშავის სრულ დატვირთვას, შრომის მაღალ ნაყოფიერებას. ხშირია შემთხვევა, როდესაც მოცემულ სამშენებლო ობიექტზე ბრიგადა რამდენიმე დღით არ არის უზრუნველყოფილი სამუშაო ფრონტით. ბრიგადირი ასეთ მოსალოდნელობას ყოველთვის წინასწარ ითვალისწინებს და იღებს ზომებს იმისათვის, რომ ასეთ დღეებში ბრიგადა სხვა ობიექტის სამუშაოთი დატვირთოს. ამას ამბ. ჟონჟოლაძე ახერხებს იმიტომ, რომ მშენებლობის ხელმძღვანელებთან ყოველდღიური კავშირი აქვს და მათი საშუალებით არკვევს, თუ სად უფრო საჭირო არიან მებეტონეები.

ამას წინათ სანაპირო ქუჩის საყრდენი კედლის მშენებლობის პირველ უბანზე მთელი რიგი მიზეზების გამო ხუროებმა ვერ უზრუნველყვეს მებეტონეები სამუშაო ფრონტით. ეს შეიტყო ბრიგადირმა და გადაწყვიტა ბრიგადის წაყვანა იმ უბანზე, სადაც სამუშაო მზად იყო. ზოგჯერ სამუშაო იმდენად მცირე მოცულობისაა, რომ მთელი ბრიგადის დატვირთვა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სახელოვანი ბრიგადირი ძალებს ორ ჯგუფად ანაწილებს, ერთ ჯგუფს აგზავნის ტოვებს, ხოლო მეორე ჯგუფი სხვა სამუშაოზე მიჰყავს. ძალებით უნარიანი მანუგრირება და კარგი ორგანიზატორული ალღო ბრიგადირს უადვილებს დავალებათა წარმატებით შესრულებას.

ამირან ჟონჟოლაძის ბრიგადის წარმატების ერთ-ერთი წყარო ისიც არის, რომ იგი კარგად იცნობს თავისი ბრიგადის ყოველ წევრს, ყოველი მათგანის შესაძლებლობას და ამიტომ ყოველთვის მიზანშეწონილად ახდენს სხვადასხვა სამუშაოზე ბრიგადის წევრთა გადაჯგუფებას.

ამჟამად ჟონჟოლაძის ბრიგადა ორ ცვლად მუშაობს. პირველი ცვლის ხელმძღვანელად ბრიგადირმა გამოიყო გ. ნადირაძე, მეორე ცვლის ხელმძღვანელად ა. ბერუაშვილი, ხოლო თვითონ ორივე ცვლაშია და იქ ეხმარება ბრიგადის წევრებს, სადაც უფრო მაღალკვალიფიციური შრომა არის საჭირო.

იანვარსა და თებერვალში ა. ჟონჟოლაძის ბრიგადამ საწარმოო დავალების შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მოგვცა მარტში ეს ბრიგადა ჯიდევ უკეთესად მუშაობს და თავდადებული, პატრიოტული შრომის შესანიშნავ მაგალითებს იძლევა. საბჭოთა ხალხის დიდი ბლოვის დღეებში ბრიგადამ დაივალა დაკისრებული სამუშაოები ამიერიდან შესასრულოს არანაკლებ 175-180 პროცენტისა.

ი. ბაბუნაშვილი.

თბილისმშენის მე-4 სამშენებლო კანტორის მთავარი ინჟინერი.

მშრომელთა გაღატაკება კაპიტალის ქვეყნებში

თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მთავარი ნიშნები და მოთხოვნები, ამბობს ამხანაგი სტალინი, შეიძლებოდა დაახლოებით შემდეგნაირად ჩამოყალიბებულიყო: მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, გაჩანაგებისა და გაღატაკების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა დაკაბალებისა და სისტემატური გაძარცვის გზით, ბოლოს, ომებისა და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით, რასაც იყენებენ უმაღლესი მოგების უზრუნველსაყოფად.

მშრომელთა ცხოვრება კაპიტალისტურ ქვეყნებში თვალნათლივ და დამაჯერებლად მოწმობს, თუ რა ულმობლად მოქმედებს ეს კანონი, რომელსაც კაპიტალისტებისათვის მოაქვს სულ ახალი და ახალი მოგება, ხოლო ხალხისათვის, მსოფლიოში ყველა ფასეულობის შემქმნელისათვის, მარტო გაჭირვება, მწუხარება და ცრემლები.

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ ამას წინათ გამოცემული ვ. ჩერმენსკის წიგნი „მშრომელთა გაღატაკება კაპიტალის ქვეყნებში“*) იძლევა მდიდარ ფაქტიურ მასალას თანამედროვე კაპიტალიზმის უღელქვეშ მგმინავ უბრალო ადამიანთა მდგომარეობის შესახებ.

ემყარება რა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას, ავტორი გვიჩვენებს, როგორ იწვევს კაპიტალის დაგროვება მშრომელთა აბსოლუტურ და შედარებითს გაღატაკებას. კაპიტალისტური სამყაროს ერთ პოლუსზე ხდება სიმდიდრის დაგროვება და ძლიერდება ექსპლოატატორული კლასების უქნარობა, ხოლო მეორე პოლუსზე მატულობს უმუშევრობა, იზრდება მუშათა კლასის სიღატაკე, მკვეთრად უარესდება მუშების შრომის პირობები.

წიგნში მოყვანილია მონაცემები, რომლებიც მკაფიოდ გვიჩვენებენ, თუ რა სწრაფად ეცემა მუშათა წილი პროდუქციაში, რომელსაც ისინი ქმნიან და რომელსაც კაპიტალისტები ითვისებენ. კარლ მარქსის მიერ კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების კანონების შესწავლისა და აღმოჩენის პერიოდში მუშა იღებდა მის მიერ შექმნილი პროდუქციის ღირებულების 40-მდე პროცენტს, ხოლო 1950 წელს, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშის წილი უკვე 20 პროცენტამდე შემცირდა. მუშების მიერ შექმნილი პროდუქციის ღირებულების დანარჩენ 80 პროცენტს კი კაპიტალისტი ითვისებს. უკანასკნელ წლებში ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელთა ექსპლოატაცია კიდევ უფრო გაძლიერდა.

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელთა „ცხოვრების სილამაზესა“ და „სიმდიდრეს“ ასე გაძლიერებით უწევენ რეკლამას კაპიტალიზმის აპოლოგეტები, მშრომელებისათვის ნამდვილი ჯოჯოხეთია.

აი რას ამბობს პროგრესული ამერიკელი მწერალი ჰოვარდ ფასტი მშრომელთა მდგომარეობის შესახებ ნიუ-იორკის ერთ-ერთ მუშათა რაიონში, რომელიც ჰანტს პოინტის სახელწოდებით არის ცნობილი და რომელშიც ცხოვრობს ნახევარი მილიონი მუშა ოჯახებიანად:

„პოინტი ჯურღმულებისა და ნახევრადჯურღმულების რაიონია. იქ ბინების მწვავე ნაკლებობა იგრძნობა, მაგრამ ღარიბთათვის ბინების მშენებლობა შეწყვეტილია. გაძლიერებული საომარი მზადების გამო. სკოლებში მეცადინეობა სამ ცვლად წარმოიტა, და ბავშვები ჭუჭყიან ძველ შენობებში არიან შეჯუჯგულნი. სკოლების მშენებლობა ისე მომგებიანი არ არის, როგორც ტანკების წარმოება, და ახალი სკოლების მშენებლობა ნავარაუდევიც კი არ არის მთელ რაიონში არ არის არც ერთი საავადმყოფო, არც ერთი ამბულატორია. ამ ჯუნგლებში არ არის არც პარკი, არც სასპორტო მოედნები ბავშვებისათვის. აქ ყველაფერი ნათლად მოწმობს, თუ რა შედეგები მოსდევს ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ პოლიტიკას: ზარბაზნები კარაქის ნაცვლად, ზარბაზნები სკოლების, საავადმყოფოებისა და საცხოვრებელი სახლების ნაცვლად, განუწყვეტელი მზარდი ფასები და უმუშევრობა, მიუხედავად ნაქები „აყვავებისა“, რაც თითქოს შექმნილია გამალებული შეიარაღების მეოხებით“.

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ტრუმენმა, რამდენიმე დღით ადრე სანამ დატოვებდა პრეზიდენტის პოსტს, ეკონომიკურ საკითხებზე კონგრესისათვის გაგზავნილ წერილში, შეაჯამა რა გამალებული შეიარაღების თავისი გაკოტრებული პოლიტიკის შედეგები, უნებლიეთ აღიარა, რომ მოსახლეობის ერთი მეხუთედი, ესე იგი სულ მცირე 32 მილიონი კაცი, „ცუდად იკვებება, ცუდად არის ჩაცმული და ცუდ სანინაო პირობებში ცხოვრობს“. შემდეგ ამავე წერილში ტრუმენი აღიარებს, რომ მუდმივი ცუდი კვებისა და გაჭირვებისათვის განწირულია ამერიკელთა ოჯახების 65 პროცენტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების „მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ღატაკია და უზრუნველყოფილი არ არის“.

ბუნებრივია, რომ ტრუმენი მთელ სიმართლეს არ ამბობს ამერიკის შეერთებულ შტატებში მშრომელთა ნამდვილი მდგომარეობის შესახებ, ცდილობს შეალამაზოს თავისი წარსული საქმიანობა. მაგრამ ისიც, რასაც იგი ფაქტების ზეგავლენით აღიარებს, ამერიკელი ხალხის გაჭირვების საკმაოდ ნათელ სურათს გვაძლევს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 13 მილიონი მთლიანად და ნაწილობრივ უმუშევარია, მათი მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია. ჯერ კიდევ პირველი ხუთწლედის შესახებ მოხსენებაში, ალასიათებდა რა კაპიტალიზმის წყლულებს, ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„შეხედეთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, რა საშინელებანი ხდება იქ უმუშევრობის ნიადაგზე. ამ ქვეყნებში ამჟამად 30-40 მილიონი უმუშევარი მაინც არის. რა ხალხია ეს? მათ შესახებ ჩვეულებრივ ამბობენ, რომ ეს „განწირული ხალხია“...

უმუშევრებს არ აძლევენ საშუალს, რადგან მათ არ შეუძლიათ გადიხადონ ამ საშალის ფასი, არ აძლევენ თავშესაფარს, რადგან მათ არ შეუძლიათ გადიხადონ ქირა. როგორ ან სად ცხოვრობენ ისინი? ისინი ცხოვრობენ ბატონის უბადრუკი ნასუფრალით, ქექავენ სანაგვე ყუთებს, სადაც პოულობენ საჭმელს დამპალ ნარჩენებს, ცხოვრობენ დიდ ქალაქების ჯურღმულებში, უფრო კი ქალაქგარეთ უმუშევრების მიერ ყუთის ფიცრებისა და ხის ქერქისაგან სახელდახელოდ აგებულ ქოხმახებში. ეს კიდევ ცოტაა. უმუშევრობისაგან იჩაგრებიან არა მარტო უმუშევრები. მისგან იჩაგრებიან აგრეთვე მუშები, რომლებსაც სამუშაო აქვთ. იჩაგრებიან იმიტომ, რომ უმრავი უმუშევრის არსებობა მათთვის ქმნის მერყევ მდგომარეობას წარმოებაში, ხვალინდელი დღისადმი რწმენის უქონლობას“.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მხეცურ ექსპლოატაციას განიცდიან არა მარტო მამაკაცები და ქალები, არამედ ბავშვებიც.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაქირავებით მუშაობს 14-17 წლის ბავშვების 40 პროცენტზე მეტი, რის შედეგადაც 6 მილიონზე მეტი ბავშვი სკოლაში არ დაიარება.

ინდოეთში ბავშვები მუშაობას იწყებენ 5-6 წლის ასაკში, ამასთან მათი სამუშაო დღის ხანგრძლივობა პლანტაციებში 17 საათს აღწევს. გასაგებია, რომ უს ბავშვები უკვე 12-14 წლის ასაკში ინვალიდები ხდებიან ან კვდებიან.

„კოლონიების მეხოვრებები, — გულისწყვარმიათა და მწარე ირონიით ამბობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ახალგაზრდობის კონფერენციაზე პაკისტანის წარმომადგენელი, — სიკვდილამდე ახალგაზრდებად რჩებიან. როგორ შეიძლება ჩვენში მოხუცები იყვნენ, როცა ინდოელის საშუალო ასაკი 23 წელიწადია. ჩვენ ვიბადებით და ვცხოვრობთ სიკვდილის ბორკილებში. ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ მძიმე შრომას, დამცირებასა და შიმშილს“.

კაპიტალის ქვეყნების უმრავლესობაში აშკარად წარმოებს ბავშვებით ვაჭრობა იმ მიზნით, რომ ისინი მორჩილ მონებად გადააქცინონ.

ხელისუფალთა მფარველობით ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს ბავშვებით ვაჭრობის მთელი კონცერნი, რომელიც შენიღბულია

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 17 მარტი. (საკლესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ ინდონეზიის პრესამ დიდძალი მასალა მიუძღვნა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნას. გაზეთი „ხარიან რაკიატი", რომელიც ჯაკარტაში გამოდის, წერს: „საბჭოთა კავშირის ხალხმა ი. ბ. სტალინის მეთაურობით მთლიანად გაანადგურა ბარბაროსული ნაცისტური არმია ფაშიზმის წინააღმდეგ ომში და მთელი მსოფლიოს ხალხები გაათავისუფლა ფაშიზმის საფრთხისაგან. ადამიანები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ ომისშემდგომი პერიოდის მოვლენებს, აღიარებენ სტალინის უდიდეს წვლილს მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების საქმეში".

ინდონეზიის სააგენტო ანტარას ცნობაში ნათქვამია: „სტალინი მთელი სიცოცხლის განმავლობაში მთელ ძალღონეს ახმარდა ჩაგრული ხალხების გათავისუფლების საქმეს, მათი კეთილდღეობის საქმეს. სტალინი მშვიდობისათვის მსოფლიო მებრძოლია. იგი ასწავლიდა ადამიანებს სძულდეთ ომი და უყვარდეთ მშვიდობა".

გაზეთი „ვასპადა", რომელიც მედანაში (კუნძული სუმატრა) გამოდის, წერს: „სტალინი, რომელიც უყვარდათ ჩვენს მეგობრებს და სძულდათ მტრებს, გენიალური ბელადი იყო".

ᲑᲔᲚᲒᲘᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲞᲐᲞᲘᲕᲡ ᲡᲪᲔᲛᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ, 20 მარტი. (საკლესი). მთელ ბელგიაში იმართება იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნისადმი მიძღვნილი მასობრივი კრებები.

ბრიუსელის უნივერსიტეტში გაიმართა სამგლოვიარო კრება, რომელსაც დაესწრნენ პროფესორები და სტუდენტები. გახსნა რა კრება, ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტთა წარმომადგენელმა თქვა:

ი. ბ. სტალინი გენიალური მოაზროვნე, მეცნიერი და გამოჩენილი მხედართმთავარი იყო. საბჭოთა არმიამ სტალინის წინამძღოლობით მთავარი როლი შეასრულა ფაშიზმის განადგურებაში და იხსნა კაცობრიობა და მასთან ერთად ჩვენი ხალხიც ფაშისტური მონობისაგან. გენიალური მხედართმთავარი სტალინი მშვიდობისათვის ყველაზე ერთგული მებრძოლი იყო.

ბელგიელი ახალგაზრდობა და ყველა მშრომელი განამტკიცებენ მეგობრობას სტალინის ქვეყანასთან, იბრძოლებენ მშვიდობისათვის, ყველა ხალხის ბედნიერებისათვის, თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობის საუკეთესო იდეალებისათვის, რომლებსაც მთელი თავისი შესანიშნავი სიცოცხლე შესწირა დიდმა მეცნიერმა და ჰუმანისტმა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა.

პროფესორმა პოლ ლიბუამ გააკეთა მოხსენება თემაზე „სტალინი — მეცნიერი". მომხსენებელმა მოიყვანა მკაფიო მაგალითები ამხანაგ სტალინის როგორც მოწინავე მეცნიერების კორიფეს მოღვაწეობიდან, რომელმაც უმდიდრესი მეცნიერული მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

ამხანაგ სტალინის მოძღვრება, თქვა ლიბუამ, მსოფლიო მეცნიერების საგანძურის ოქროს ფონდი გახდა. ი. ბ. სტალინის თეორიული შრომები და მთელი მისი პრაქტიკული მოღვაწეობა აღაფრთოვანებს ადამიანებს მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის, პროგრესული კაცობრობის საუკეთესო იდეალების გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

აუდიტორიაში, სადაც კრება მიმდინარეობდა, მოეწყო ამხანაგ სტალინის იმ შრომების გამოფენა, რომლებიც გამოვიდა რუსულ, ფრანგულ და ჰოლანდიურ ენებზე.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო კრებები გაიმართა აგრეთვე ანტვერპენში და ბელგიის ბევრ სხვა ქალაქში.

ᲒᲕᲐᲢᲔᲛᲐᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲜᲘ ᲮᲐᲒᲘᲕᲡ ᲡᲪᲔᲛᲔᲜ Ი. ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 19 მარტი. (საკლესი). გვატემალის მუშათა პარტიის ორგანომ გაზეთმა „ოქტიაბრემ" 12 მარტს მთელი ნომერი, რომელიც 12 გვერდისაგან შედგება, მიუძღვნა ი. ბ. სტალინის ხსოვნას. ნომერში დაბეჭდილია სტატიები ამხანაგ ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. გაზეთი ბეჭდავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსადმი მიმართვას, რომელსაც ხელს აწერს ეროვნული კრების თავმჯდომარე გილიერმო ოვანდო არიოლა. მიმართვაში გამოთქმულია საბჭოთა ხალხისა და სსრ კავშირის მთავრობისადმი სამძიმარი ი. ბ. სტალინის გარდაცვალების გამო.

გამოქვეყნებულია აგრეთვე ი. ბ. სტალინის ხსოვნისადმი მიძღვნილი სხვა მასალები.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲞᲐᲞᲘᲡ ᲡᲪᲔᲛᲔᲜ Ი. ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

ᲛᲝᲜᲢᲔᲕᲘᲓᲔᲝ, 18 მარტი. (საკლესი). ბრაზილიის გაზეთი „იმპრენსა პოპულარი" იუწყება, რომ 9 მარტს ი. ბ. სტალინის დაკრძალვის მომენტში ქვის დამმუშავებელი სახელოსნოების „პროგრესოს" და რიო-დე-ჟანეიროს ბევრი სხვა საწარმოს მუშებმა პატივი სცეს დიდი ბელადის ხსოვნას იმით, რომ 5 წუთით შეწყვიტეს მუშაობა.

სამგლოვიარო მიტინგები გამართეს რიო-დე-ჟანეიროს ტრამვაის პარკის მუშებმა, ქალაქ ნიტეროის პურის საცხობთა მუშებმა, ასოციაცია „პედრო ერნესტო და რამოსმა" რიო-დე-ჟანეიროში და სხვა საწარმოთა და დაწესებულებათა მშრომელებმა.

Ი. Ბ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 18 მარტი. (საკლესი). იმოწმებს რა გაზეთ „ნიუსტრო დიარიოს" ცნობას, რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ქალაქ გვატემალაში გაიმართა ი. ბ. სტალინის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრება. კრებას დაესწრნენ გვატემალის პოლიტიკური მოღვაწეები და ეროვნული კრების წევრები. გვატემალელმა დიპლომატმა ლუის კარდოსა-ი-არაგონმა აღნიშნა ი. ბ. სტალინის დიდი დამსახურება მშვიდობის დაცვის საქმეში.

ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲒᲝᲡᲢᲕᲐᲚᲓᲘᲡ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

Ა. ᲖᲐᲐᲞᲝᲢᲝᲪᲙᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲕᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲘᲦᲔᲑᲓᲜᲔᲜ Კ. ᲒᲝᲢᲕᲐᲚᲓᲘᲡ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐᲨᲘ

ᲞᲠᲐᲰᲐ, 20 მარტი. (საკლესი). გუშინ კლემენტ გოტვალდის დაკრძალვის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ა. ზაპოტოცკიმ ჩერნის სასახლეში მიიღო მთავრობათა დელეგაციების წევრები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ პრეზიდენტის დაკრძალვაში, მიღებას დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის მთავრობის, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და სხვა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები.

სტალინი ჩვენი სიცოცხლეა

სიკვდილს ვებრძოდით, — მუხანათმა ცეცხლში გვატარა,
სუნთქვაშეკრულებს მოსვენება აღარ გვაცალა,
ხუთ დღედაღამეს არ გვეძინა დიდს და პატარას,
მაინც დაგვძლია... და ხელიდან გამოგვაცალა,
ვინც ყრმობიდანვე დიდ სიცოცხლეს დაეძმობილა,
სიკვდილს თრგუნავდა, ირგვლივ მებრძოლ გმირებს იკრებდა!..
ასე უეცრად, უსულგულოდ და ულმობელად
სიკვდილისაგან შურისგებას ვინ იფიქრებდა?

სტალინ, ძვირფასო! გვანუგეშე: ეს ხომ ძილია
ქვეყნის სიმძიმით გადაღლილი გოლიათისა?
ჩვენი თვალები კვლავ კრემლისკენ მიპყრობილია,
იქ გვეგულები მზე დიადი განთიადისა.

შენც ლენინივით ვალმოხდილი ჩვენგან წახველი,
ბურჯად უდგეხარ კომუნიზმის დიად შენობას,
შენი სახელი, ხალხთა რწმენის გამომსახველი,
გვჯერა, — არასდროს არ დაგვატყობს ჩვენ უშენობას.

შენ ცოცხალი ხარ, ხიფათისგან კიდევ დაგვიცავ,
შენ არ ჩაქრები, შენი დროშა ბრწყინავს მთაბარად,
ვით მარადიულ ცეცხლად შობილ მზეს დედამიწა,
ისე შენს გულსაც უკუნეთი ვერ გადაფარავს.

როგორ გვიყვარდი, ჩვენთვის იყავ მამა კეთილი,
ვფიცავთ შენს აზრებს, რაც ანდერძად შენ დაგვიბარე,
ვწუხვართ და ვნაღვლობთ, გეთხოვებით გულდაწყვეტილი,
რომ ვერ გიხსენით სიკვდილისგან, ვერ დაგიფარეთ...

მარტის თვე არი, ცივა, თოვლში სწუხან ქარები,
არც ერთი სევდა გულს ასე ღრმად არ დაღარავდა,
გლოვობს თბილისიც... შენზე დარდით და მწუხარებით
მთელი ქვეყანა თითქოს უცებ გაჭაღარავდა.

იგი დაეცა, — და მიწისძვრაც მაშინ ვიგრძენით,
მწარე გმინვის ხმა მთებს მოედო, ზღვებს გადაეცა,
უცებ დაეცა... აცახცახდნენ შორი სივრცენი:
მტრების სამყაროს, ბნელ სამყაროს მეხად დაეცა.

ვინ იტყვის: სიკვდილს გამარჯვება ერგო წყეულსა,
თითქო სიცოცხლე მის წინაშე მ[illegible]ამ სუსტია?!.
ნამდვილად: სიკვდილს, უკვდავებით უკუქცეულსა,
ასეთი დიდი დამარცხება არ განუცდია!..

შენ სიცოცხლე ხარ! შორს სიკვდილი სულთამხუთავი!
ახლაც შენს გულზე გაზაფხულის დღენი ჰყვავიან,
ხალხის გული ხარ, — და ხალხი კი არის უკვდავი,
ვინც ხალხის გმირულ პოსტზე კვდება — ის უკვდავია!

შენი ფოლადის მტკიცე ნებით ვართ ძლიერები,
ჩვენი ქვეყანა შრომისა და ბრძოლის ველია.
ცოცხლობს, დღეგრძელობს მეგობრობა ძმური ერების,
ხალხი ომს ებრძვის, — და მშვიდობაც უძლეველია.

დღეს შენი დროშა, გლოვისაგან ფრთადაშვებული,
შენს თანამებრძოლთ ისევ მაღლა აუმართიათ,
კომუნიზმისკენ ხალხს მიუძღვის გამარჯვებული,
მრავალ ბრძოლაში გამოვლილი შენი პარტია.

ᲐᲚᲘᲝᲨ ᲛᲘᲠᲪᲮᲣᲚᲐᲕᲐ (ᲛᲐᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ).

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲙᲐᲮᲝᲕᲙᲐᲨᲘ

ᲛᲘᲙᲝᲚᲐ ᲜᲐᲒᲜᲘᲑᲔᲚᲐ

სადაც მომავალ არხების ხაზზე
ისმის ნაღმების ქუხილი დიდი —
მუშათა შორის ღიმილით სავსე
გაშლილ ტრამალზე სტალინი მიდის.

დილის ცვარ-ნამში ვით ოკეანე
გაწოლილია ტრამალი მწვანე. —
მას მიპყვებიან ახალ გეგმებით
სამუშაოთა მწარმოებლები.

იგი ბეჯითად მოავლებს მზერას
დნეპრის ნაპირებს ღიმილით ახლა
და კომუნიზმის ვარსკვლავთა კერას
აციმციმებს კახოკის გაღმა.

დინჯად დამდგარი ყურლანზე დიდხანს
არხებს დაპყურებს მზრუნველი თვალით,
არხებს, რომლებმაც ტრამალის ბალახს
უნდა შეასვას მდინარის წყალი.

ახალი ტბები — წყალსაცავები
მზეს შეხედავენ სუფთა თვალებით
და კახოკაში გასაკვირველი
აკიაფდება შუქი პირველი.

ასე, მომავალ არხების ხაზზე
ისმის ნაღმების ქუხილი დიდი —
მუშათა შორის ღიმილით სავსე
გაშლილ ტრამალზე სტალინი მიდის.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ Ა. ᲒᲝᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡᲐ

(ᲝᲕᲐᲜᲔᲡ ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ 30 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ)

დიდი სომეხი პოეტი ოვანეს თუმანიანი იმ კლასიკოს მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც თავიანთი კეთილშობილური იდეებით თავიდანვე ღრმად იჭრებიან ხალხში და საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებენ. შეუძლებელია სომხური ლიტერატურიდან დავასახელოთ მეორე მწერალი, რომელიც ასეთი პოპულარობით სარგებლობდეს. ეს იმით აიხსნება, რომ ხალხის წიაღიდან გამოსულმა პოეტმა თავისი შეგნებული ცხოვრება მთლიანად ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლას მოახმარა.

ოვანეს თუმანიანი (1869-1923 წ. წ.) დაიბადა სოფელ დსელში, ძველი ლორის მაზრაში. ბავშვობა მან სომხეთის ამ ულამაზეს კუთხეში გაატარა. ხუთი-ექვსი წლის ბიჭუნა გლეხის სხვა ბავშვებთან ერთად მთელ დღეს ბუნების წიაღში ატარებდა. მას ხიბლავდა ლორის მიდამოების მომჯადოებელი სილამაზე, ტყით დაბურული მაღალი მთები, მჩქეფარე ნაკადულები, გიჟი მდინარეები და ყვავილებით ხალიჩასავით აჭრელებული მინდვრები. შვიდი წლის ოვანესი ამ ტყესა და ველებში საქონელს მწყემსავდა, მთელ დღეებს თაგის ტოლებთან ერთად ცისქვეშ ატარებდა: აწყობდნენ გასართობებს, ასპობდნენ ზღასტრებს, თხზავდნენ ზღაპრებს და სხვ. მაგრამ პატარა ოვანესი მარტო ბავშვების „მხიარული" ცხოვრების მოწმე როდი იყო, მის თვალწინ ნათლად იშლებოდა ლორელი ხალხის ცხოვრების შემაძრწუნებელი სურათები. იგი ბავშვობიდანვე აკვირდებოდა ღალეხების გაჭირვებულ ცხოვრებას, მდიდრების მიერ ღარიბების უსამართლო ჩაგვრას. ხალხის სიღარიბესა და მწუხარებას არაერთხელ აუწყვია კეთილი ბავშვის გული და ღრმად ჩაუფიქრებია. როცა მას სოფელში (ამკამად ამ სოფელს თუმანიანი ეწოდება) სკოლა გახსნეს, ხოლო ამ სკოლაში ღარიბთა შვილებს იმის გამო, რომ სწავლის ფულის გადახდა არ შეეძლოთ, მიღებაზე უარი უთხრეს, მომავალმა პოეტმა ეიგრძნო, რომ „მზე ყველასათვის თანაბრად არ ანათებდა და ერთნაირად არ ათბობდა".

პოეტი შემდეგში წერდა: „ამ დროს მე პირველად გავიგე, რომ ჩვენს შორის ზოგი შეძლებული იყო და ზოგიც ღარიბი. მე დღესაც მესმის ჩემი ამხანაგის პატარა ნესოს ღრიალი, რომელიც თავის სახლის წინ მიწაზე გართხმული ტიროდა: სკოლაში წასვლა მინდაო! მისი მამა კი უყვიროდა: — არა მაქვს, არა მაქვს... სად ვიშოვო? სამი მანეთი რომ მქონდეს, პურს ვიყიდი და ა შივრები არ მეყოლებითო". ოვანეს თუმანიანი თავისი ბავშვობის ამ მეგობარს ნესოს მუდამ გულისტკივილით იგონებდა. პოეტი ამბობდა: „ნესო კარგი ადამიანი დადგებოდა, შეიძლება ჩემზე უკეთესიც ყოფილიყო, განათლება რომ მიეღო და ხელსნ[illegible]ემწყობი ჰყოლოდაო".

ასე შეიძულა ბავშვობიდანვე პოეტმა ძველი უკუღმართი და უსამართლო ცხოვრება, რომლის სიმწვავე თვითონაც არაერთხელ ჰქონდ[illegible] განცდილი. თვითონ ოვანესსაც, მიუხედავად დიდი მოსწრაფებისა, საშუალება არა ჰქონდა ფართო განათლება მიეღო. ცამეტი წლის ოვანესი ობოლისში ჩამოიყვანეს სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ ხელმოკლეობის გამო სწავლას თავი მიანება და სამსახურის ძებნა დაიწყო.

მაგრამ მძიმე ცხოვრებამ გული ვერ გაუტეხა. დაბრკოლებამ მისწრაფებაზე ხელი ვერ ააღებინა. იგი მტკიცედ და გატაცებით დაეწაფა თვითგანვითარებას, დღედაღამ წიგნებში იყო ჩაფლული და ბევრს კითხულობდა. ახალგაზრდობიდანვე გაეცნო სომხურ, რუსულ, ქართულ და ევროპულ კლასიკურ ლიტერატურას. განსაკუთრებით ბევრს სწავლობდა ხალხისაგან. დიდი სომეხი პოეტის ოვანეს თუმანიანის უნივერსიტეტი თვით ცხოვრება იყო. ამიტომ სრულიად ბუნებრივად სამწერლო სარბიელზე გამოსვლისთანავე ოვანეს თუმანიანის შემოქმედება, მისი ყოველი ნაწარმოები აღბეჭდილი იყო ხალხურობით. დემოკრატიული მოტივებით. მისი გამოსვლით სომხური ლიტერატურის განვითარებაში უფრო მაღალი ეტაპი დაიწყო. სომხური მწერლობა ოვანეს თუმანიანმა გაამდიდრა ახალი თემებით და შექმნა ბრწყინვალე ქმნილებანი. რომლებიც სომხური კლასიკური მწერლობის ოქროს საგანძურში შეიყარენ და დღემდე მხატვრული აზროვნების ხალხურობის, სისადავის უბადლო ნიმუშებად დარჩნენ.

სომეხი ხალხის დარდი და სიხარული ჩაქსოვილია თუმანიანის ყოველ სტრიქონში პოეტმა ვალერი ბრიუსოვმა კარგად თქვა „სომხეთის გასაცნობად საჭირო არ არის დიდტანანი წიგნების წაკითხვა, ამისათვის კაცმა მხოლოდ თუმანიანის პოემა „ანუში" უნდა წაიკითხოსო!"

ოვანეს თუმანიანის მხატვრული ფანტაზია მეტად მდიდარია, იგი წერდა ისტორიულ თემებზე, ძალიან ხშირად მიმართავდა ფოლკლორს და იქიდან იღებდა გმირულ-ეპიკურ სახეებს, ბევრს წერდა თავისი დროის ცოცხალ სინამდვილეზე. მაგრამ არასდროს, არც ერთ შემოხვევაში დიდი რეალისტი მწერალი ტრადიციის ტყვე და ფაქტების მონა არ ყოფილა. იგი მუდამ ფხიზელ ისტორიულ ანალიზს უკეთებდა წარსულის მოვლენებს. თანამედროვე ცხოვრებიდან განაზოგადებდა ყველაზე ტიპიურ ამბავს, რომლებიც ხელს უწყობდნენ ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლას. მწერლის მიერ ისტორიულ თემებზე დაწერილი თხზულებანი, სადაც ხალხის გმირული წარსული სიმართლით არის ასახული, უშუალოდ ეხმაურებოდნენ მშრომელი მასების სასიცოცხლო ინტერესებს.

ოვანეს თუმანიანი, როგორც პოეტი და ადამიანი, უაღრესად მგრძნობიარე იყო. მას შესანშნავად ესმოდა თავისი ერის ტანჯვა, მისი სულიერი ტკივილები, ამავე დროს ღრმად სწამდა, რომ სომეხი ხალხის ჩაგვრისაგან განთავისუფლება დიდად იყო დამოკიდებული მეზობელ ხალხთა შორის ძმური ურთიერთობის განმტკიცებაზე. ამიტომ იყო, რომ იგი თავგამოდებით, დაუცხრომლად იღვწოდა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობისათვის და ამ მეგობრობას მთელი გულით და მგზნებარეობით უმღეროდა.

როცა მეფის თვითმპყრობელობამ ამიერკავკასიის ხალხებს შორის მტრობა და შუღლი დანერგა, როცა აზერბაიჯანელები და სომეხები ერთმანეთს შეუსია, — დიდებული მგოსანი მაშინვე გავიდა ხალხში... იგი არ ერიდებოდა არავითარ ხიფათს, დადიოდა აზერბაიჯანულ და სომხურ სოფლებში, ოჯახიდან ოჯახში, კარიდან კარად, თვითმპყრობელობის აგენტებისაგან მოტყუებულ უბრალო ადამიანებს ერთმანეთისადმი მეგობრობას შთაგონებდა და ხოცვა-ჟლეტის შეწყვეტისაკენ მოუწოდებდა.

დაშნაკებისა და მენშევიკების ბატონობის შავბნელ ხანაში ეს პარტიები ცდილობდნენ შეერყიათ მეზობელ ერებს შორის ისტორიული მეგობრობის ბრწყინვალე ტრადიციები და გაეჩაღებინათ ნაციონალისტური შუღლი.

ოვანეს თუმანიანი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც მთელი მგზნებარეობით უმღერა სომეხი და ქართველი ხალხების ძმობის იდეას. თავის ცნობილ ლექსში „საქართველოს პოეტებს", რომელიც დაწერილია 1919 წელს, პოეტი წერდა:

...„თანამოძმენო, სალამი თქვენდა!
პოეზიაში წვა გერგოთ ხვედრად,
და არარატმა — როგორც ლეგენდა —
გული გაიპო თქვენს შესახვედრად.
შემოღამების მიმქრალი შუქი
დე შეუერთდეს ჯანსაღ განთიადს,
ორთოს ძმათა ორი პატრუქი,
გზა გაუნათოს მომავალ დიადს.
დე ჩვენი ლექსის ნაზ ცისარტყელამ
მოსპოს ვერაგთა სისინი მტრული,
დე ჩვენი ლექსი მოედოს ყველას
ბედნიერებით გადაზღაპრული.
კავკასიონის ჭაღარა ერებს
ჩვენ მოვუწოდებთ საერთო ლხინზე,
ჩემი ქამანჩაც ტკბილად იმღერებს
თქვენი მგოსნების შემოძახილზე.
დავრჩეთ, ქურუმნო, ძმად და მეგობრად,
შეგქმნათ ოჯახი ამხანაგური,
და ხელოვნების ტაძრისთვის მწყობრად
ყველამ მივზიდოთ თითო აგური.
დღეს ხალხი სისხლით თუმც იწურება,
ეს დავგრჩეს მაინც ძველ გაკვეთილად,
რომ ერთი ერის უბედურება,
ვერ გადიქცევა სხვისთვის კეთილად..."

ოვანეს თუმანიანს ღრმად სწამდა, რომ „ერთი ერის უბედურება ვერ გადიქცეოდა მეორე ერის კეთილდღეობად". იგი ოცნებობდა იმ ნეტარ დროზე, როცა აღარ იქნებოდა ომები და მტრობა კარის მეზობლებში, როცა დამკვიდრდებოდა მშრომელთა თავისუფალი და საამური ცხოვრება...

პოეტს სწამდა, რომ საკუთარი თვალით ნახავდა თავის ხალხს თავისუფალსა და ბედნიერს. და აი, როცა ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთან ერთად მთელი აბიერკავკასიის ხალხებსაც თავისუფლება მოუტანა, ო. თუმანიანის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. პოეტმა დაინახა, რომ დიდმა ლენინმა და დიდმა სტალინმა საბოლოო ბედნიერება დაუმკვიდრეს მის ხალხს.

„აი მთავრობა, — წერდა იგი 1921 წელს, — რომლის გერბზეც ჩვენ ვხედავთ არა მხეცებისა და იარაღის გამოსახულებას, არამედ ნამგალისა და ჩაქუჩს — მუშებისა და გლეხების შრომის სიმბოლოს; აი მთავრობა, რომელსაც თან მოაქვს მეგობრობა, მშვიდობიანი ცხოვრება. თავისუფალი შრომა და არა ომები და გაღატაკება".

ოვანეს თუმანიანი სომეხი ხალხის სიამაყეა. იგი თავისი დიდი ადამიანური გულით, რომელიც საკუთარი ხალხის სიყვარულთან ერთად ასე ფაქიზად იტიკვა ყველა ხალხის სიყვარულს. მაღლიერი საბჭოთა ადამიანების ხსოვნაში მარად ცოცხალი დარჩება.

Ი. ᲒᲠᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲝᲕᲐᲜᲔᲡ ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ 30 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 23 მარტს, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში (მაჩაბლის ქ. № 13) გაიმართება დიდი სომეხი პოეტის და საზოგადო მოღვაწის ოვანეს თუმანიანის გარდაცვალების 30 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. ლეონიძე.

მოხსენებას თემაზე „ოვანეს თუმანიანი — ხალხთა მეგობრობის მომღერალი" წაიკითხავს პოეტი ი. გრიშაშვილი.

მოგონებებით გამოვლენ და ლექსებს წაიკითხავენ მწერლები: შ. დადიანი, ა. აბაშელი, კ. კალაძე, ვ. ატრიანი, მ. ასლანიანი, პაჭარე, ს. ფაშალიშვილი, ვ. გორგაძე, გ. ცეცხლაძე, შ. ამისულაშვილი, ნ. კილასონია, ნ. გურეშიძე, მ. მაჭავარიანი და ა. ბეგაშვილი.

Ლ. Ნ. ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 125 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მიმდინარე წლის 9 სექტემბერს სრულდება 125 წელი დიდი რუსი მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის დაბადებიდან.

ამ თარიღის აღსანიშნავად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა გამოჰყო კომისია გ. აბაშიძის, ი. აბაშიძის, ა. ბელაიაშვილის, შ. დადიანის, ს. კლდიაშვილის, გ. ლეონიძის, კ. ლორთქიფანიძის, ა. მირცხულავას, ნ. ნაკაშიძის, გ. ნატროშვილის, შ. რადიანის, ლ. ქიაჩელის (კომისიის თავმჯდომარე), დ. შენგელაიას და ს. ჭილაიას შემადგენლობით.

ამ დღეებში შედგა ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავის აღსანიშნავად გამოყოფილი საიუბილეო კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა ამ თარიღის აღნიშვნის ორგანიზაციული საკითხები.

ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ

ყოველწლიური ტრადიციის მიხედვით მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგებთან დაკავშირებით საქართველოში 23-დან 31 მარტამდე ეწყობა „საბავშვო წიგნის კვირეული".

საბავშვო წიგნის კვირეულის პერიოდში ყველა საკლუბო დაწესებულებაში, პიონერთა სასახლეებსა და სახლებში, ბიბლიოთეკებში მოეწყობა ბავშვთა ლიტერატურული ღილები, მკითხველთა კონფერენციები, საბავშვო კინოფილმების ფესტივალები, მოსწავლეთა შეხვედრები პოეტებთან, მწერლებთან, საბავშვო წიგნების ავტორებთან და სხვა წარჩინებულ ადამიანებთან. მოეწყობა აგრეთვე კოლექტიური წასვლა თეატრებში, კინოებში, მუზეუმებსა და სტამბებში. ბიბლიოთეკებში მოეწყობა საბავშვო ლიტერატურის სპეციალური გამოფენები.

წიგნის კვირეულის პერიოდში ბიბლიოთეკები გამდიდრდება საბავშვო ლიტერატურით. მოეწყობა საბავშვო ლიტერატურის თაროები. გაძლიერდება ლიტერატურის პროპაგანდა, რადიოთი.

„საქწიგნი" კვირეულის პერიოდში მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაადიდებს საბავშვო ლიტერატურით ვაჭრობის ქსელს. მოეწყობა კიოსკები, საბავშვო ლიტერატურის გამოფენები.

რკინიგზის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლში მოეწყობა მოსწავლეთა საქალაქო ლიტერატურული ღილები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ პოეტები, მწერლები და ქალაქის მოსწავლეები

მოსწავლეთა საქალაქო ლიტერატურული ღილები გაიმართება აგრეთვე ბათუმში, სუხუმში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში.

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

მცდარ თეორიულ საფუძვლებზე აგებული წიგნი

ლექსიკოლოგია ენათმეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, როგორც თავისი თეორიული მნიშვნელობისა და სირთულის მიხედვით. ისე იმ დიდი მოთხოვნილების გამო, რომელიც ჩვენს სინამდვილეში არსებობს ყოველნაირი სახის განმარტებითს, თარგმნითსა და სპეციალურ (ტერმინოლოგიურ) ლექსიკონებზე. თარგმნითი ლექსიკონები, რომლებიც აუცილებელია უცხო ენის შესასწავლად, მეტისმეტად საჭიროა ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. უცხოენოვან-ქართული ლექსიკონები დღესდღეობით ცოტა გვაქვს. ამიტომ გასაგებია ის ინტერესი, რომელსაც იწვევს თ. და ი. გვარჯალაძეების მიერ შედგენილი, ამას წინათ გამოსული ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. *).

ასეთი მოცულობის ინგლისურ-ქართული ლექსიკონი ჩვენ დღემდე არა გვქონია. გასაგებია, რომ წიგნში, რომელიც პირველ ცდას წარმოადგენს თავის დარგში, შესაძლოა იყოს ცალკეული შეცდომები. მაგრამ დღეს, როდესაც ამხანაგ სტალინის საენათმეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებიდან საკმაო დროა გასული, როდესაც ლექსიკოლოგიის თეორიის მთელი რიგი საკითხები საკმაოდ არის დამუშავებული საბჭოთა ენათმეცნიერულ ლიტერატურაში, მკითხველს უფლება აქვს ავტორისა თუ შემადგენელისაგან მოითხოვოს მარქსისტული ენათმეცნიერების პრინციპებზე აგებული წიგნი რომელშიც გათვალისწინებული იქნება საბჭოთა ენათმეცნიერების თეორიული მონაპოვრები და პრაქტიკული გამოცდილება.

სამწუხაროდ, აღნიშნულ ლექსიკონში ვხვდებით ისეთ შეცდომებსა და დამახინჯებებს, რომლებიც თითქმის შეუძლებელს ხდის ამ წიგნის სახელმძღვანელოდ გამოყენებას.

ავტორები წერენ ლექსიკონის შემადგენლობის შესახებ: „შევეცადეთ სიტყვები ისე შეგვეტანა ძირითადი ლექსიკური ფონდიდან (ხაზი ჩემია. მ. შ.), რომ მან (ლექსიკონმა. მ. შ.) დაეკმაყოფილოს ჩვენი სკოლის მოთხოვნილება და დახმარება გაუწიოს ჩვენ ახალგაზრდობას".

პრინციპულად მცდარია დებულება, რომ რომელიმე ენის ლექსიკონი (სულ ერთია, თარგმნითია ის თუ განმარტებითი) შეიძლება შევადგინოთ ამ ენის მხოლოდ ძირითადი ლექსიკური ფონდის მასალებზე. ლექსიკონის დანიშნულება იმთავითვე ის არის, რომ რაც შეიძლება მეტი სისრულეთან ასახოს სწორედ ენის მთლიანი ლ

«კომუნისტის» მიმომხილველის შენიშვნები

როგორ „აზროვნებს“ იანკი

1. მარლოუს... პოლიციაში იბარებენ

„ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევი კომისია“ ენერგიულად „მუშაობს“. ამერიკის ყოველ კუთხეს, ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროს სწვდება მისი საცეცები, ქრონიკული შიშის ქვეშ რომ აყენებს თვითეულ უბრალო ამერიკელს.

ამერიკული გესტაპოს ამ ყბადაღებულ ფილიალს მოქალაქეთა ყოველ ნაბიჯსა თუ სიტყვაში კომუნისტური საფრთხე ელანდება, და დასაკითხავად იბარებენ არა მარტო ექვსი წლის კინოვარსკვლავს შირლი ტემპლის, რომელიც ამას წინათ უცხოეთის საშიშ აგენტთა რიცხვს მიაკუთვნეს, არამედ... სამასი წლის წინათ გარდაცვლილ ინგლისელ დრამატურგს ქრისტეფორე მარლოუსაც.

ეს თითქოს დაუჯერებელია.

მაგრამ რას იზამთ, ასეა მოწყობილი იანკის გონება. საქმე კი შემდეგში იყო: დამშეული და უმუშევარ მსახიობთა პატარა ჯგუფს, როგორც იქნა, მიეცა შესაძლებლობა გროშების ფასად გამოსულიყო პიტსბურგის მუშათა კულტურულ-საგანმანათლებლო ასოციაციის მიერ შექმნილ თეატრში, ამასთან მის რეპერტუარში შედიოდა მარლოუს ერთ-ერთი პიესა.

ვაშინგტონელ შუბლმაგრებისათვის ეს ფაქტი საკმარისი აღმოჩნდა, რათა პიესის ავტორი კომუნისტად მოენათლათ და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღეძრათ. უკვე გამზადებული იყო უწყება მარლოუს „ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევ კომისიაში“ გამოსაძახებლად. როცა რომელიღაც გულშემტკივარმა მრჩეველმა ყურში ჩასჩურჩულა კომისიის ერთ-ერთ წევრს: დრამატურგი უეჭველად მოკლეული იქნება შეუძლებლობას გამოცხადდეს კომისიის წინაშე. ვინაიდან იგი საკმაოდ ცნობილ ულიკიმ შექსპირის თანამედროვეა და მისი ნაშეტი ამჟამად შორს, ოკეანეს გაღმა, ინგლისის მიწაში განისვენებსო.

„ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევ კომისიაში“ შემავალი „ზეკაცები“ როდი წითლდებიან ასეთი კურიოზის დროს. მსგავს შემთხვევაში ისინი ალბათ დანანებით იქნევენ თავს, რომ ასე იოლად დაუსხლტათ ხელიდან მსხვერპლი და, შესაძლებელია, ეჭვის თვალითაც შეხედონ მარლოუს „არამეთხე ქომაგს“ — აქ „კომუნისტური შანტაჟი“ ხომ არ არისო.

იანკის ნაღრძობი ჭკუისგან ესეც არ იქნება გასაკვირველი.

2. «მაღალი შენობებიდან გადმოვარდნა აკრძალულია»

ეს მოხდა ტოკიოში, თებერვლის დამდეგს. ორი ამერიკელი ჯარისკაცი, რომლებსაც კორეაში უპირებდნენ გაგზავნას, მეექვსე სართულიდან გადმოვარდა და, როგორც იტყვიან, სული ძირამდე არ დაჰყოლიათ. ერთი-ორი დღის შემდეგ „ცივილიზაციის“ ამ უებრო „დამცველებს“ კიდევ რამდენმე კაცმა მიბაძა.

დეზერტირობის ამ უცნაური ფორმით შეშფოთებულმა ამერიკელმა საოკუპაციო ჯარების სამხედრო ხელისუფლებმა გადაწყვიტეს „კონტროზობები“ მიეღოთ. მათ გამოაქვეყნეს განცხადება, რომლის ძალითაც არმიის პირად შემადგენლობას „ეკრძალება მაღალი შენობებიდან გადმოვარდნა“, ვინაიდან ეს მოქმედება „ეწინააღმდეგება არმიის წესდებებს“. ვინც ამ წესს დაარღვევს, „...სასტიკად იქნება დასჯილი“.

მაგრამ კი უჭრით გონება იანკებს! ლოგიკა ღალატობთ არა მარტო იმის გაგებაში, რომ შეუძლებელია ასე „გაქცეული“ ჯარისკაცის დასჯა, არამედ იმაშიც, რომ უსამართლო ომით დაბაბუნებულ და სასოწარკვეთილებამდე მისულ ადამიანებს შორის ასეთი მუქარით ვერ აღმოფხვრიან სიკვდილსა და თვითმკვლელობას.

მაგრამ, როგორც ეტყობა, ამერიკელი ხელისუფალნი ემაყოფილნი არიან „აზროვნების“ ამ ამერიკული ნიმუშით. მიუხედავად ამისა, მათ მაინც არ ძალუძთ ჯარისკაცთა მორალური გახრწნის შეჩერება. ჯარისკაცთა უმრავლესობა ვერავითარ აზრს ვერ პოულობს გმირი კორეელი ხალხის წინააღმდეგ ამერიკელ იმპერიალისტთა სისხლიან ავანტიურაში, დღითიდღე რწყუნდება იმაში, რომ ამ ავანტიურის კრახი გარდუვალია და კორეაში უსახელოდ, ძაღლურად სულის ამოხდომას „პატიოსნად“ სიკვდილს ამჯობინებს.

ა. კუსრაშვილი.

მგკიცდება ფრანგ მეშახტეთა ერთიანობა

პარიზი, 19 მარტი. (საკადესი). გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ შრომის საყოველთაო კონფედერაციამ გაიმარჯვა ნორისა და პა-დე-კალეს დეპარტამენტების ქვანახშირის შახტებში ადგილობრივი პარიტეტული კომისიების დელეგატთა არჩევნებში. კენჭისყრის მონაწილე 69.948 მეშახტიდან 56.982 (ესე იგი 81,46 პროცენტმა) შრომის საყოველთაო კონფედერაციის კანდიდატებს მისცა ხმა. ქრისტიანთა პროფკავშირებმა მხოლოდ 6.122 ხმა მიიღეს, გამთიშველმა პროფკავშირულმა გაერთიანებამ „ფორს უვრიერმა“ — 6.602 ხმა.

როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ აღნიშნავს, ამ არჩევნების შედეგები მოწმობენ, რომ მტკიცდება ფრანგ მეშახტეთა ერთიანობა თავიანთი სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლაში.

ძლიერდება იგალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გავლენა

რომი, 20 მარტი. (საკადესი). გაზეთმა „უნიტამ“ გამოაქვეყნა ტურინში „ფიატის“ საწარმოებში შინაგანი (პროფკავშირული) კომისიების არჩევნების შედეგები. იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის კანდიდატებმა წარმატებას მიაღწიეს ყველა საამქროში როგორც მუშათა, ისე მოსამსახურეთა შორის. თუ 1951 წელს მუშა-მოსამსახურეებმა იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის კანდიდატებს ხმების 65,8 პროცენტი მისცეს, წელს მისცეს ხმების 66,1 პროცენტი. ქრისტიან დემოკრატთა „იტალიის მშრომელთა პროფკავშირების კონფედერაციისათვის“ მიცემული ხმების პროცენტი შემცირდა 24-დან 22-მდე.

იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის კანდიდატებმა 101 ადგილი მიიღეს ყველა შინაგან (მუშა-მოსამსახურეთა) კომისიაში, „იტალიის მშრომელთა პროფკავშირების კონფედერაციამ“ კი მიიღო 45 ადგილი და სოციალ-დემოკრატიულმა „იტალიის შრომის კავშირმა“ — 14 ადგილი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 19 მარტი. (საკადესი). 18 მარტის დილის სხდომაზე პოლიტიკური კომიტეტი შეუდგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის იმ მოხსენების განხილვას, რომელიც გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეტანილია სახელწოდებით „ყველა შეიარაღებული ძალებისა და ყველა იარაღის მოწესრიგება, შეზღუდვა და თანაზომიერი შემცირება“.

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიამ, რომელიც 1952 წელს მუშაობდა, თავი ვერ გაართვა მის წინაშე დასახულ ამოცანას. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენელთა წინააღმდეგობის გამო კომისიამ ვერ გადაჭრა მთავარი ამოცანა — იგი ვერ შეთანხმდა და ვერ მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. ნაცვლად ამ მთავარი ამოცანის გადაჭრისა, შეერთებულმა შტატებმა და მათმა მიმდევარმა ქვეყნებმა კომისიის საქმიანობა წარმართეს არასწორი გზით — შეიარაღების შესახებ ცნობების „გამოვლინებისა და შემოწმების“ გზით. ამის შედეგად ჩაიშალა შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის უთუოდ აკრძალვის საკითხის გადაჭრა.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი გროსი, რომელიც პირველი გამოვიდა, ამაოდ ცდილობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მუშაობის არადამაკმაყოფილებელი შედეგებისათვის პასუხისმგებლობა მოეხსნა შეერთებული შტატებისა და მათი მხარდამჭერი ქვეყნებისთვის და თავს მოეხვია საბჭოთა კავშირისათვის. იგი ყოველნაირად ცდილობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში ამერიკის დელეგაციის მიერ შეტანილი წინადადებანი შეიარაღების და უწინარეს ყოვლისა ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების „გამოვლინებისა და შემოწმების“, ავრეთვე შეიარაღებული ძალების „მაქსიმალური დონის“ დაწესების შესახებ წარმოდგენა როგორც „განიარაღების პრობლემის“ და ატომური იარაღის „ხმარებიდან ამოღების“ საკითხის გადაწყვეტა. ამერიკის დელეგატის ამ მტკიცების უშინაარსობა იქიდან ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებანი არ ითვალისწინებენ არც ატომური იარაღის აკრძალვას, არც შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებას.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ვერაფერი ვერ თქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის განსახილველად საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილი იმ წინადადების საწინააღმდეგოდ, რომელიც ითვალისწინებს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ერთი მესამედით შემცირებას და ატომური იარაღის უთუოდ აკრძალვას, აგრეთვე ამ აკრძალვის განხორციელებაზე მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესებას. იგი ცდილობდა მხოლოდ თავიდან მოეშორებინა ეს საკითხი უსუსური მტკიცებით იმის შესახებ, რომ ეს წინადადება თითქოს „ბუნდოვანია“.

დასასრულ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგაციების მიერ შეტანილი რეზოლუციის ერთობლივ პროექტს. რომელიც მოითხოვს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიამ განაგრძოს თავისი მუშაობა და მოხსენება ამ მუშაობის შედეგების შესახებ წარუდგინოს გენერალურ ასამბლეასა და უშიშროების საბჭოს არაუგვიანეს 1953 წლის 1 სექტემბრისა. რეზოლუციის პროექტში გამოთქმულია აგრეთვე მადლობა კომისიის წევრებისადმი მათი მუშაობისათვის, თუმცა ყველასათვის ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციის გამო, კომისიის უმრავლესობა წინააღუდგა შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ წინადადების მიღებას.

შემდეგ გამოსულმა ბელგიის, ბრაზილიის, თურქეთისა და ნორვეგიის დელეგატებმა დაიცვეს რეზოლუციის ერთობლივი პროექტი და ამასთან ერთად მხარი დაუჭირეს შეერთებული შტატების პოზიციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მოხსენების გამო.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატისა და მხარეთა პალატის გაერთიანებული სხდომა

ბერლინი, 20 მარტი. (საკადესი). დღეს ბერლინში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატისა და მხარეთა პალატის გაერთიანებული სხდომა. სხდომა მიეძღვნა გერმანიის ერთიანობის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის გაერთიანების მოძრაობის საბჭოს წინადადებათა განხილვას, რომელთა მიზანია გერმანელი ხალხის ერთიანობის რაც შეიძლება მალე აღდგენა და გერმანიასთან სამართლიანი ზავის ხელშეკრულების დადება.

სხდომის მონაწილეებმა ფეხზე ადგომით სცეს პატივი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ნათელ ხსოვნას. სახალხო პალატის თავმჯდომარემ იოჰანეს დიკმანმა განაცხადა, რომ ორივე პალატის პრეზიდიუმების წევრებმა სამძიმარი გამოუცხადეს გერმანიაში საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარეს არმიის გენერალს ვ. ი. ჩუიკოვს და სსრ კავშირის დიპლომატიური მისიის მეთაურს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ი. ი. ილიჩევს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების გამო.

შეკრებილებმა ფეხზე ადგომით სცეს პატივი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის კლემენტ გოტვალდის ხსოვნას.

გამოაქვეყნა რა სამძიმრის დეპეშები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარისადმი, იოჰანეს დიკმანმა განაცხადა, რომ უკვდავი სტალინი მარად იცოცხლებს გერმანელ ადამიანთა გულში და რომ გერმანელი ხალხი არ დაივიწყებს კლემენტ გოტვალდის ხსოვნას.

შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სახალხო პალატისა და მხარეთა პალატის პრეზიდიუმმა გადაწყვიტეს მოაწყონ პალატების გაერთიანებული სხდომა, რათა პროტესტი განაცხადონ ბონის ბუნდესტაგში სამხედრო ხელშეკრულებათა მესამე წაკითხვის მოწყობის წინააღმდეგ, და ამ გაერთიანებულ სხდომაზე მოიწვიეს გერმანიის გაერთიანების მოძრაობის საბჭოს დელეგაცია, რათა სახალხო პალატასა და მხარეთა პალატას შეეძლოთ მოისმინონ და განიხილონ გერმანიის გაერთიანების მოძრაობის საბჭოს წინადადებანი.

გერმანიის ერთიანობის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის გაერთიანების მოძრაობის საბჭოს სხდომის მონაწილეებმა ფეხზე ადგომით სცეს პატივი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ნათელ ხსოვნას. სახალხო პალატის თავმჯდომარემ იოჰანეს დიკმანმა განაცხადა, რომ ორივე პალატის პრეზიდიუმების წევრებმა სამძიმარი გამოუცხადეს გერმანიაში საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარეს არმიის გენერალს ვ. ი. ჩუიკოვს და სსრ კავშირის დიპლომატიური მისიის მეთაურს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ი. ი. ილიჩევს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების გამო.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა მიუნხენ-გლადბახის ყოფილმა ობერ-ბურგომისტრმა ელფესმა, რომელმაც წარუდგინა დეპუტატებს გერმანიის ერთიანობის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის გაერთიანების მოძრაობის წინადადებანი, რომელთა მიზანია გერმანელი ხალხის ეროვნული ერთიანობის რაც შეიძლება მალე აღდგენა და გერმანიასთან სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადება. მან აღნიშნა, რომ საჭიროა მთელ გერმანიაში მოეწყოს ეროვნული კრების თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები ოთხი მოაუპირებელი სახელმწიფოს კონტროლით.

ბავარიის ლანდტაგის დეპუტატმა როზლ პილებრანდმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთ გერმანიის მშვიდობისმოყვარე გერმანელთა მოთხოვნები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პარლამენტგარეშე მოქმედების სამუალებით. მან დაგმო მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული ლიდერების პოზიცია ბონის სამხედრო ხელშეკრულებათა რატიფიკაციის შესახებ ბუნდესტაგში გამართული კამათის დროს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანელი ხალხისათვის საჭიროა მხოლოდ ერთი ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება საზავო ხელშეკრულებაა. მან სახალხო პალატისა და მხარეთა პალატის დეპუტატებს მიმართა თხოვნით მთელი ძალღონე მოახმარონ გერმანიის ეროვნული აღდგენისათვის ბრძოლას.

გერმანიის კომპარტიის სახელით სხდომაზე გამოვიდა ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის საფეიქრო ფაბრიკის მუშა ილზე კეტნგი. მან აღნიშნა კომპარტიის სოლიდარობა გერმანიის ერთიანობის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის გაერთიანების მოძრაობასთან, რადგან კომუნისტური პარტია ფიქრობს, რომ დასახული მიზნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ყველა გერმანელის ერთობლივი მოქმედების შედეგად. ილზე კეტნგმა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას მიმართა მოწოდებით — გააძლიეროს ბრძოლა ეროვნული გაერთიანების მთავრობის შექმნისათვის.

ბერლინი, 20 მარტი. (საკადესი). შესვენების შემდეგ 20 მარტის სხდომაზე გამოვიდა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პროფესორი დოქტორი კორენსი.

შემდეგ გამოვიდნენ სახალხო პალატის დეპუტატები ჰანს იოაჰიმ ვინკლერი, ოტო კორმანი და დოქტორი ფრანკი, რომელებმაც, ისევე როგორც პროფესორმა კორენსმა, გამოთქვეს მშვიდობისმოყვარე გერმანელი მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის აზრი, და მხარი დაუჭირეს გერმანიის საკითხის მშვიდობიან გადაწყვეტას.

სახალხო პალატის თავმჯდომარემ იოჰანეს დიკმანმა გამოაცხადა, რომ სახალხო პალატისა და მხარეთა პალატის პრეზიდიუმებს მოუფიდათ მოსახლეობის ყველა ფენისაგან მრავალი წერილი და დეპეშა, რომელებშიც სასტიკი პროტესტია გამოცხადებული ბუნდესტაგის მიერ ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ. წერილებსა და დეპეშებში აღნიშნულია, რომ ბუნდესტაგის მიერ ამ სამარცხვინო ხელშეკრულებათა რატიფიკაციის შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატა ერთადერთი პარლამენტია, რომელსაც შეიძლება გერმანიის პარლამენტი ეწოდოს.

დიკმანმა უხუცესთა საბჭოს დავალებით ორივე პალატის დეპუტატების განსახილველად შეიტანა პროექტი სახალხო პალატისა და მხარეთა პალატის ერთობლივი განცხადებისა გერმანელი ხალხისადმი.

განცხადებაში, რომელიც ერთსულოვნად მიიწონეს სხდომის მონაწილეებმა, ბონისა და პარიზის ხელშეკრულებანი დახასიათებულია როგორც ევროპის მშვიდობის ხელყოფა და როგორც სახელმწიფო გადატრიალების აქტი.

შემდეგ სიტყვა ეძლევა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ოტო გროტეოლს.

ირანის პრემიერ-მინისტრ მოსადიკის გამოსვლა

თეირანი, 21 მარტი. (საკადესი). თეირანის რადიოს ცნობით, გუშინ ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციის მეორე წლისთავის გამო რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში ირანის პრემიერ-მინისტრმა მოსადიკმა აღნიშნა, რომ ინგლისის უკანასკნელი წინადადებანი, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ჰენდერსონმა გადასცა ირანის მთავრობას, ირანისათვის მიუღებელია, უწინარეს ყოვლისა, კომპენსაციის გადახდის დარგში. ინგლისელები მოითხოვენ, რომ ირანმა კომპენსაცია გადაუხადოს ყოფილ ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიას იმ ზარალის ოდენობით, რომელიც ნახა ყოფილმა ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიამ იმის გამო, რომ მან შეწყვიტა ნავთობის ამოღება, გადამუშავება და რეალიზაცია. მოსადიკმა დასძინა, რომ ეს იმდენად აბნეული ფორმულირებაა, რომ ხვალ ინგლისელებს მის საფუძველზე შეუძლიათ მოსთხოვონ ირანს მთელი იმ მოგების გადახდა, რაც მიიღო ყოფილმა ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიამ ირანის ნავთობის ექსპლოატაციის დროს.

მაგრამ ირანი თანახმაა გადიხადოს კომპენსაცია ყოფილი ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიის მოწყობილობის ღირებულების ფარგლებში.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 20 მარტი. (საკადესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები საარტილერიო ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლი-სინმანელთა ჯარების წინააღმდეგ წინანდელ ზღუდეებზე.

შინაპოლიტიკური კრიზისი იაპონიაში

შანხაი, 20 მარტი. (საკადესი). ტოკიოდან მიღებული ცნობებით, იაპონია მწვავე შინაპოლიტიკურ კრიზისს განიცდის.

უნდობლობის ვოტუმი იოსიდას მთავრობისადმი, რაც მას გამოუტანეს პარლამენტის უკანასკნელი არჩევნებიდან ექვს თვეზე ნაკლები ხნის შემდეგ, იმის შედეგი იყო, რომ გაძლიერდა იაპონელი ხალხის წინააღმდეგობა იოსიდას კაბინეტის ანტიეროვნული პოლიტიკისადმი. იოსიდა მორჩილად ასრულებს ამერიკელი ოკუპანტების ნებას. ამერიკელთა ოკუპაციის რეჟიმისადმი ხალხის მასების წინააღმდეგობამ არეულობა გამოიწვია იაპონიის რეაქციის ბანაკში. ფრაქციული ბრძოლა ღრღნის მმართველ ლიბერალურ პარტიას — ამერიკელთა ოკუპაციის რეჟიმის მორალურ-პოლიტიკურ დასაყრდენს. პარტიაში უკვე დიდი ხანია წარმოებდა ბრძოლა ხელმძღვანელობისათვის იოსიდასა და ამ პარტიის მეორე არანაკლებ რეაქციულ ლიდერს ხატოიამას შორის.

ამ ბოლო დროს იმის შედეგად, რომ გაძლიერდა იაპონიის საზოგადოებრიობის უკმაყოფილება იოსიდას კაბინეტის პოლიტიკით, ფრაქციული ბრძოლა პარტიაში ახალი ძალით გაჩაღდა. როგორც ტოკიოს რადიო იუწყება, საქმე იქამდე მივიდა, რომ ლიბერალური პარტია ფაქტიურად გაითიშა. ხატოიამამ კავშირი გაწყვიტა იოსიდასთან და განაცხადა, რომ ქმნის ეგრეთწოდებულ „იაპონიის ლიბერალურ პარტიას“, რომელიც უპირისპირდება იოსიდას პარტიას. ხატოიამასთან ერთად იოსიდას ლიბერალური პარტიიდან გავიდა პარტიის სხვა ლიდერთა მნიშვნელოვანი ჯგუფი. ახალი პარტიის პროგრამა ისევე რეაქციულია, როგორც იოსიდას პარტიის პროგრამა.

ლიბერალური პარტიის გათიშვა გამოწვეულია აგრეთვე იმით, რომ იოსიდამ თვით იაპონიის ბურჟუაზიულ წრეებში დაკარგა ავტორიტეტი. ეროვნული ბურჟუაზიის ერთი ნაწილი უარს ამბობს მხარი დაუჭიროს იოსიდას და მის პარტიას, რადგან უკმაყოფილოა ლიბერალური პარტიის კაპიტულანტური ეკონომიკური პოლიტიკით, იმით, რომ ამ პარტიამ მთელი რიგი ძირითადი პოზიციები იაპონიის ეკონომიკაში ამერიკის კაპიტალს დაუთმო. ტოკიოს რადიოს ცნობით, იაპონიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარემ ფუძიიამამ განაცხადა, რომ ფინანსური წრეები არ დაუჭერენ მხარს იოსიდას პარტიას პარლამენტის მომავალ არჩევნებში.

ლიბერალური პარტიის გათიშვა მოწმობს, რომ იაპონიაში გაძლიერდა უკმაყოფილება ამერიკელთა ოკუპაციის რეჟიმით და კიდევ უფრო ჩაღდება ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ამერიკის სამხედრო დაკვეთები იაპონიაში

შანხაი, 20 მარტი. (საკადესი). ტოკიოს რადიო, იმოწმებს რა იაპონიის ეკონომიკური ბიუროს ცნობებს, იუწყება, რომ იანვარსა და თებერვალში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იაპონიაში გაანაწილეს 60 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების სამხედრო დაკვეთები. მარტის პირველ ნახევარში ამერიკის სამხედრო დაკვეთების თანხამ გადააჭარბა 50 მილიონ დოლარს, რაც ორნახევარჯერ და უფრო მეტად აღემატება გასული წლის საშუალო თვიურ თანხას.

ამა წლის დამდეგიდან 15 მარტამდე იაპონიაში განაწილებული ამერიკის სამხედრო დაკვეთების თანხამ 116 მილიონ დოლარს მიაღწია.



თბილისი. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე აგებული 123-ბინიანი საცხოვრებელი სახლის კორპუსი, რომელიც ამ დღეებში გადაეცა საექსპლოატაციოდ.

ფოტო შ. ალადაშვილისა.

მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგები

დაწყებითს, რვაწლიან და საშუალო სკოლებში დღეიდან დაიწყო საგაზაფხულო არდადეგები, რაც გაგრძელდება 1953 წლის 30 მარტამდე.

საგაზაფხულო არდადეგების დღეებში მოსწავლეთა კულტურული მომსახურებისათვის კლუბებში, კულტურის სახლებში, საბავშვო დაწესებულებებში მოეწყობა საბავშვო ლიტერატურული დღლები, შემოქმედებითი საღამოები, ექსკურსიები, შეხვედრები ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებთან.

ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე მოსწავლეებისათვის გამართავს ლექციებსა და საუბრებს დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, დიდ მშენებლობათა შესახებ და სხვ. მოეწყობა ექსკურსიები, სპორტული შეჯიბრებები.

მოზარდ მაყურებელთა თეატრები არდადეგების დროს ყოველდღიურად აჩვენებენ ორ-ორ სპექტაკლს.

სემინარი. მოხსენება

○ ორშაბათს, 23 მარტს, საღამოს 7 საათზე პარტიული სკოლის შენობაში (ზ. ჩიტაძის ქ. № 6) შედგება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორთა მუდმივმოქმედი სემინარის მორიგი მეცადინეობა.

○ სამშაბათს, 24 მარტს, საღამოს 8 საათზე საქართველოს საბჭოთა მწერლების კლუბში (მაჩაბლის ქ. № 13) პროზაიკოსთა სექციის საჯარო სხდომაზე დანიშნულია ი. ლისაშვილის რომანის „ერთგულების“ განხილვა.

მომხსენებელი — გ. მარგველაშვილი. განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები.

საბჭოთა კავშირის პირველობა კრივში

დაიწყო შეჯიბრება კრივში საბჭოთა კავშირის 1953 წლის პირადი პირველობისათვის.

თვითეულ წონითს კატეგორიაში ერთმანეთს პირველობას ეცილება 24 სპორტსმენი.

ქ. ივანოვოში მიმდინარეობს შეჯიბრება უმჩატესი, ქვემსუბუქი, პირველი ქვესაშუალო, პირველი საშუალო და ქვემძიმე წონის მოკრივეთა შორის; დანარჩენ წონებში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატი გათამაშდება მოსკოვში 23-დან 28 მარტამდე.

სამი დღის საინტერესო ბრძოლის შემდეგ ქ. ივანოვოში საქართველოს მოკრივეებიდან ნახევარფინალში გავიდა რ. კალაჯევი.

ა. ფირცხალავა — თბილისის ოლქის ჩემპიონი ჭადრაკში

დამთავრდა თბილისის ოლქის პირველი საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდა ქ. თბილისის, რუსთავის, ახალციხისა და თეთრი წყაროს 16 უძლიერესი მოჭადრაკე.

საოლქო პირველობის გათამაშებაში მაღალ სასპორტო შედეგს მიაღწია ოსტატობის კანდიდატმა ა. ფირცხალავამ, რომელმაც 15 შესაძლებლიდან შეაგროვა 14½ ქულა და მოიპოვა თბილისის ოლქის ჩემპიონის წოდება. ერთად-ერთი პარტია ა. ფირცხალავამ ყაიმით დაამთავრა გ. გამრეკელთან.

მეორე ადგილი დაიკავა ა. გამრეკელმა (11½ ქულა), მესამე — გ. გამრეკელმა (10½ ქულა), მეოთხე — ზ. მესროპოვმა (9½ ქულა), მეხუთე — შ. ინწკირველმა (9 ქულა), მეექვსე — ა. ღონღლაძემ (8½ ქულა).

ჩემპიონატში გამარჯვებული მოჭადრაკეები მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პირველობის გათამაშების ნახევარფინალში

რედაქტორი გ. მერკვილაძე.



თბილისის სახელმწიფო ცირკი

22, 23 მარტს
უკანასკნელი გამოსაბოლოვარი გასტროლები
მხეცების პირველი რუსი მომთვინიერებელის, რსფსრ დამსახურებული არტისტის
ნ. პ. გლადილშჩიკოვისა
ბრძოლა მახრჩობელა გოლიათთან
აზერბაიჯანის საცირკო კოლექტივის გასტროლების გაგრძელება და დიდი საცირკო პროგრამა
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

კვირას, 22 მარტს
ღლის ორი საბავშვო წარმოდგენა
დასაწყისი I—12 ს. II—3 ს.
ორშაბათს, 23 მარტს
მოსწავლეთა არდადეგების დღეებში
ღლის ერთი საბავშვო წარმოდგენა
დასაწყისი ღლის 1 საათზე.
ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის სალაროებში.
მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
რსფსრ სახალხო არტისტის, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის, საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სოლისტის **ვ. ა. ლევიდოვას** გასტროლები
სამშაბათს, 24 მარტს — ჯ. ვერდი **აიდა**
პარასკევს, 27 მარტს — ნ. რიმსკი-კორსაკოვი **მეფის საცოლე**
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

22 მარტს	დღის 12 საათზე ჟ. ბიზე — **კარმენი** საღამოს დ. თორაძე — **გორდა**
24 მარტს	დღის 12 საათზე ხ. ფალიაშვილი — **აგბასლომ** და **ეთერი** საღამოს ჯ. ვერდი — **აიდა** (ვ. ა. დავიდოვას მონაწილეობით).

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მოქალაქე **ელენე ვლადიმერის ასულმა ხულიაშვილმა**, მცხოვრებმა ჭავჭავაძის ქ. № 5, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ **ამბროსი ივანეს-ძე სიდამონიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ თბილისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია.

მოქალაქე **დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანმა**, მცხოვრებმა უნივერსიტეტის ქ. № 12, აღძრა საქმე ბრძოლის ქ. № 13 მცხოვრებ მოქალაქე **ანა ყარამანის ასულ არეშიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უ